საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილობით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 24 აგვისტო. 2017 წ. №170 (8307), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.



ერის სულიერი გაუტეხლობის მაგალითი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ გუშინ ეს მიმართვა გაავრცელა:

„ბოლო დროს საქართველოში განვითარებულმა სტიქიურმა უბედურებებმა განსაკუთრებით კი ბორჯომის ხეობაში მომხდარმა ხანძარმა საქართველოს მოსახლეობის დიდი შეშფოთება და გულსტკივილი გამოიწვია. ცეცხლის არაერთი კერა გაჩნდა გუშინაც...

მადლობა ღმერთს, რომ ხელისუფლების, მეხანძრეების, მაშველებისა და საზოგადოების დიდი ძალისხმევით ამ მოვლენებს მსხვერპლი არ მოჰყოლია, თუმცა, რა თქმა უნდა, უდიდესია ზარალი, რაც ქვეყანას მიადგა. გაჭირვების ჟამს არაერთი სახელმწიფო დაგვეხმარა და ბევრმაც გამოთქვა დახმარების სურვილი, რისთვისაც საქართველოს ეკლესიის სახელით კიდევ ერთხელ მადლობას ვუხდით მათ.

მორწმუნე ადამიანი განსაცდელს ლოცვით ხვდება და სასოებს ღვთის მოწყალებაზე.

ჩვენც მოვუწოდებთ მრევლს და სასულიერო პირებს, გააძლიერონ ლოცვა მარიამობის მარხვაში და საერთოდ, ვიდრე პრობლემები არ გადაივლის, კერძოდ, სასულიერო პირებს ეძლევათ კურთხევა თავის ყოველდღიურ კანონთან ერთად, იკითხონ სახარება, ხოლო მორწმუნე ერმა შეძლებისამებრ ფსალმუნები და ღვთისმშობლისადმი ლოცვა — „მოწყალებისა კარი განგვიღე...“

შევთხოვთ უფალს, დაიცვას და დაიფაროს ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ხალხი. განსაკუთრებით ვლოცავ ბორჯომის ხეობის მოსახლეობას და განსაცდელში მყოფ ყველა ადამიანს. ჩვენმა ერმა არაერთხელ აჩვენა ჭირსა შინა სიმხნევისა და გაუტეხლობის მაგალითი და მჯერა, უფლის შეწევნით, ეს მომავალშიც ასე იქნება. ღმერთმა გაგამტკიცოთ და განგაძლიეროთ“!..

ლოცვა და საკვები მეხანძრე-მაშველებისთვის

ბორჯომის ხეობაში შექმნილ საგანგებო შტაბს წმინდა სინოდის წევრები ეწვივნენ. მანამდე სასულიერო პირებმა სოფელ დაბის ეკლესიაში პარაკლისი აღავლინეს.

„ჩამოვედით წმინდა სინოდის წევრები. გადავიხადეთ პარაკლისები ტაძარში. შტაბში გავეცანით ვითარებას. ამ ურთულეს დროში ყველაზე მეტად გვჭირდება ჩვენი ფიზიკური და სულიერი ძალების მობილიზება. ვამბობთ, „ღმერთის გარეშე არაფერი ხდება“, მაგრამ არ შეიძლება ადამიანების ძალისხმევის გამორიცხვა. ადამიანის შრომაზე ბევრი რამეა დამოკიდებული, ასევე ხელისუფლების სხვადასხვა სტრუქტურების შეთანხმებულ მუშაობაზე. წარმატება ვუსურვეთ და ვლოცულობთ ყველა სამლოცველოში, რათა დავძლიოთ ეს განსაცდელი. ამ განსაცდელს ერისა და ბერის ერთად დგომა სჭირდება. ჩვენ ერთობით ყველაფერს დავძლევთ და იმედი მაქვს, რომ ამ განსაცდელიდან უფრო დიდ გამოცდილებას მივიღებთ და კიდევ უფრო გავძლიერდებით“, — განუცხადა ჟურნალისტებს ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა გრიგოლიმ. სასულიერო პირებმა პატრიარქის დავალებით სტიქიასთან მებრძოლი ადამიანებისთვის საკვები და სასმელი ჩაიტანეს.

პარლამენტმა სტიქიის ზონაში სამხედრო ძალების გამოყენების შესახებ პრეზიდენტის ბრძანება დაამტკიცა

საქართველოს პარლამენტმა საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მიზნით საქართველოს სამხედრო ძალების გამოყენების შესახებ პრეზიდენტის ბრძანება დაამტკიცა.

გადაწყვეტილება გუშინ რიგგარეშე სხდომაზე მიიღეს. პრეზიდენტის ბრძანებას მხარი 116-მა დეპუტატმა დაუჭირა. წინააღმდეგ არც ერთი არ წასულა.

პრეზიდენტის ბრძანება პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა ანა დოლიძემ წარადგინა.

ცნობისთვის, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს ქვეყნის რეგიონებში გაჩენილი ხანძრების ლიკვიდაციის მიზნით, „სამხედრო ძალების გამოყენების წარდგინებით“ მიმართა. გიორგი მარგველაშვილმა საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მიზნით საქართველოს სამხედრო ძალების გამოყენების შესახებ ბრძანება უკვე გამოსცა.

როგორ ვხარჯავთ საბიუჯეტო თანხებს?

⑤

შედეგი, რომელიც არ დგება

ჯოჯოხეთს რომ ერთი მუგუზალი აკლდა, ისე ხომ არ არის ეს საქმე?!.

③

ბიზნესმენი თუ „ბულგარელი განგსტერი“?!

დემურ გიორხელიძე:

ცალკეული პროექტები კეთილდღეობას ვერ მოგვიტანს!

⑥

ვინ გაიცინებს ბოლოს?!

④

მინისტრი და პრანკერები

⑧



...იბადება კითხვა – იყო კი საერთოდ რეფორმები საქართველოში სააკაშვილის დროს?

ბორჯომის ტყე-პარკის აღსადგენად შესაძლოა, სპეციალური ფონდი შეიქმნას...

დანაკარგი მძიმეა, მაგრამ გული არ გავიტეხოთ, როგორც ერთობლივად ვებრძვით სტიქიას, ისე ერთობლივად აღვადგენთ, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა.

„ჩვენმა მეზობელმა ქვეყნებმა გაგვიწიეს დახმარება, აზერბაიჯანმა, სომხეთმა, თურქეთმა, ბელარუსმა. უნდა ვთქვა, რომ ჩვენი მეგობრებისგან ყოველ წუთს მოდის შემოთავაზება დახმარებაზე. ჩვენ ამ სტიქიას ერთობლივად დავამარცხებთ. ჩვენ კიდევ ბევრი გვაქვს სამუშაო, სანამ ცეცხლი ბოლომდე არ ჩაქრება, შტაბი გააგრძელებს მუშაობას. ერთობლივი ძალებით აუცილებლად დავამარცხებთ ამ სტიქიას და მეორე დღიდანვე დავიწყებთ მუშაობას, რომ ეს ტყე-პარკი აღვადგინოთ. შეიძლება შევქმნათ ფონდი, სადაც, ჩვენი მეგობრების მონაწილეობით, ისევე გავალამაზებთ ამ ბუნებას, როგორც ამ ხანძრამდე იყო. დიდი მოცულობით ფართობი დაიწვა, ჩვენ ამ სტიქიას ბოლომდე დავამარცხებთ და აღვადგენთ ტყე-პარკს“, — განაცხადა კვირიკაშვილმა.

ტყეში ბენზინის ბიდონი იპოვეს!

ბორჯომის ტყეში, სადაც 20-ლიტრიანი ბენზინის ბიდონი იპოვეს, გუშინ კრიმინალური და საპატრულო პოლიცია იყო მობილიზებული. შსს-ს ინფორმაციით, ბორჯომის ტყეში გაჩენილ ხანძართან დაკავშირებით გამოძიება სსკ-ს 187-ე მუხლით მიმდინარეობს და ტყეში ბიდონის აღმოჩენის საკითხზე რეაგირებაც ამ გამოძიების ფარგლებში მოხდა.

ხეობაში გაჩენილ ხანძარს შესაძლოა, დივერსიის კვალიფიკაცია მიეცეს

შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრიშვილი არ გამორიცხავს, რომ ბორჯომის ხეობაში ცეცხლი ხელოვნურად გაჩნდა.

„მე, როგორც პოლიციელი, არაფერს გამოვრიცხავ და ყველა ვერსიაზე ვმუშაობთ“, — ამის შესახებ მღებრიშვილმა გუშინ დილით გამართული თათბირის შემდეგ განაცხადა.

დივერსია იყო თუ არა, გამოძიებამ უნდა დაადგინოს!

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე აცხადებს, რომ ამ ეტაპზე დივერსიაზე კონკრეტული საუბარი სწორი არ იქნება და ყველაფერი გამოძიებამ უნდა დაადგინოს, თუმცა მისივე თქმით, ცეცხლის გაჩენა სხვადასხვა წერტილში „მართლაც არათავსებადად მოხდა“.

„გავრცელდა გარკვეული ინფორმაციები, თითქოსდა, შესაძლოა, საქმე გვქონდეს დივერსიასთან. მართლაც არათავსებადად მოხდა სხვადასხვა წერტილში ცეცხლის გაჩენა, რომლის საფუძველი შეიძლება არც არსებობდა, ამიტომ, გამოძიებამ ნებისმიერ შემთხვევაში უნდა დაადგინოს, საერთო ჯამში რა იყო მიზეზი ამ ცეცხლის კერების. ყველა შესაბამისი საფუძველი ან ინფორმაცია უნდა გადამოწმდეს. შსს-მ უკვე დაიწყო გამოძიება, თუმცა ამ ეტაპზე ჩვენ კონკრეტულად ვისაუბროთ დივერსიაზე, არ იქნება სწორი, თუმცა ვერსიად არის, რა თქმა უნდა და ამას გამოძიება დაადგენს,“ — განაცხადა ირაკლი სესიაშვილმა.

ამჯერად ადა მარშანია ცამდე მართალია!

ადა მარშანია ამბობს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ არასწორი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებთან დაკავშირებით რუსეთის ფედერაციის მიერ შეთავაზებულ დახმარებაზე უარი თქვა.

„რუსი ტურისტები ხომ გვინდა, ხომ გვიხარია? მაშინ რატომ არ გვახსოვს ჩვენი ღირსება და პატრიოტიზმი? ...ეგება და ამ ერთობლივი ჩაქრობის დროს მინიმალური კონტაქტები დამყარდებოდა ამხელა უზარმაზარ მეზობელ ქვეყანასთან“, — განაცხადა მარშანიამ.

რაც შეეხება კითხვას, რომ 2008 წლის ომის დროს, რუსეთმა სწორედ ის ადგილი დაბომბა, რომელშიც ამჟამად არის ხანძარი, მარშანია ამბობს, რომ რუსეთს ახლა დახმარება უნდა: **„ახლა ხომ უნდათ ჩაქრობა და დახმარება? ძალიან კარგი იქნებოდა, რომ წელს უკვე კი არ ჩამოეყარათ ბომბები და დაეწვათ, არამედ ჩაექრთ“** — განაცხადა მარშანიამ.

გერმანიამ, საბერძნეთმა და რუმინეთმა საქართველოს დახმარება შესთავაზეს

აზერბაიჯანის, თურქეთის, სომხეთისა და ბელორუსის გარდა, რომლებიც ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოებში უკვე მონაწილეობენ, ქართული მხარის დასახმარებლად მზადყოფნას გერმანია, რუმინეთი და საბერძნეთიც აცხადებს.

შეგახსენებთ, ბორჯომის ხეობაში ცეცხლის ჩაქრობის სამუშაოები 24-საათიან რეჟიმში გრძელდება. საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ცნობით, ბორჯომის ხეობაში ხანძრის გავრცელება შეჩერებულია, ცეცხლის არეალი კი საგრძნობლად შემცირებული, თუმცა კვლავ რჩება რამდენიმე კერა.

ცნობისთვის, გუშინ მთელი ღამის მანძილზე ხეობაში საგანგებო რეჟიმში მუშაობდნენ სახანძრო-სამაშველო ბრიგადები, ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლები, შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლები. ასევე, შეუჩერებლად მუშაობდა მძიმე ტექნიკა.

ისრაელიც დაგვეხმარება

ბორჯომის ხეობაში გაჩენილი ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოებში საქართველოს მთავრობის დახმარების მზადყოფნას აზერბაიჯანის, თურქეთის, სომხეთის, ბელორუსის, გერმანიის, საბერძნეთის, რუმინეთისა და აშშ-ის შემდეგ, ისრაელიც გამოთქვამს.

შესაბამისი მზადყოფნა ისრაელის ელჩმა საგანგებო შტაბის წარმომადგენლებთან საუბრისას უკვე გამოხატა.

„ბორჯომის ხეობაში გაჩენილ ხანძართან დაკავშირებით ისრაელის ელჩი შაბთაი ცური საქართველოში შექმნილი საგანგებო შტაბის წარმომადგენლებს ესაუბრა და საჭიროების შემთხვევაში, ისრაელის სახელმწიფოს მხრიდან დახმარების მზადყოფნა გამოხატა.

ისრაელი,როგორც მეგობრული სახელმწიფო ვერ იქნება გულგრილი საქართველოში მიმდინარე მოვლენებისადმი და მზადაა, შეძლებისდაგვარად დახმარება აღმოუჩინოს საქართველოს სტიქიასთან ბრძოლის ამ რთულ მომენტში.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გამოხატა მადლიერება მხარდაჭერისთვის და განაცხადა,რომ ამ ეტაპზე საკმარისად არის ტექნიკა და ხანძარს უმკლავდებიან.

ისრაელის საელჩო, ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრო და საგანგებო შტაბი მზად არიან, კოორდინირებულად იმოქმედონ და საჭიროების შემთხვევაში დასახონ სამოქმედო გეგმა“, — აღნიშნავენ ისრაელის საელჩოში.

„საქართველოს ბანკი“ 1 მლნ ლარს გამოყოფს

საქართველოს ბანკმა განაცხადა ერთი მილიონი ლარის გამოყოფის შესახებ, რომელიც საქართველოს მასშტაბით სტიქიის შედეგად დამწვარი ტერიტორიის აღდგენას და ხანძრის პრევენციას მოხმარდება.

„ბოლო დღეების განმავლობაში სტიქიიდან გამომდინარე მართლაც მძიმე დღეები გამოიარა ქვეყანამ, საქართველოს ბანკი, მადლობას უხდის თითოეულ ადამიანს, ვინც ჩართული იყო სტიქიასთან ბრძოლაში და სწორედ მათი თავდაუზოგავი ძალისხმევის შედეგია სტიქიასთან გამკლავება.

ამასთან, რამდენიმე დღეში მომხმარებლისთვის კვლავ მისაწვდომი იქნება საქართველოს ბანკის „მწვანე ანაბარი“, რომლის ფარგლებშიც 2008 წელს ბორჯომში დამწვარი ტყის ნაწილის აღდგენა მოხდა. დღეს აღდგენის მიზნით მხარდაჭერა მნიშვნელოვანია ისე, როგორც არასდროს, ერთობლივი ძალებით საქართველოს აღვადგენთ“, — წერია განცხადებაში.

საქართველოს რკინიგზა განადგურებულ 2 ჰექტარ ტყის საფარს აღადგენს!

საქართველოს **რკინიგზის თანამშრომლები მესამე დღეა, აქტიურ მონაწილეობას იღებენ ბორჯომისა და ატენის ხეობაში ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოებში.**

საქართველოს რკინიგზამ მიიღო გადაწყვეტილება ხანძრის შედეგად განადგურებული ტყის საფარის აღსადგენად თავის სანერგე მეურნეობაში არსებული რესურსები მოახმაროს 2 ჰექტარი ფართობის ტყის აღდგენას. ასევე რკინიგზამ დაიწყო მუშაობა შესაბამისი ჯგუფების ფორმირებისთვის, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ტყის აღდგენით სამუშაოებში.

სტიქიის ზონაში ჰაერის ხარისხი შემოწმდა

გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტები იმყოფებოდნენ ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სადაც სტიქიის ზონების მიმდებარე სოფლებში, კერძოდ, ცემში, სადგერში, დაბაში, წაღვერში, ტბასა და ყვიბისში, ასევე, დაბა ბაკურიანსა და ქალაქ ბორჯომში ჰაერის ხარისხის კვლევა განახორციელეს.

კვლევების შედეგად გაიზომა ჰაერში მყარი შეწონილი ნაწილაკები, აზოტის დიოქსიდი და ნახშირჟანგი. აღნიშნული კვლევების თანახმად ყველა კომპონენტი ზღვრულად დასაშვები ნორმების შესაბამისობაშია. ჰაერის ხარისხის შემოწმება მიმდინარეობს სტიქიის ზონის მიმდებარედ, სხვა დასახლებულ პუნქტებშიც.

დიდველის საბაგირო ჩვეულ რეჟიმში მუშაობს

საქართველოს **ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ დირექტორის ალექსანდრე ონოფრიშვილის განცხადებით, დღეიდან ჩვეულ რეჟიმში განაახლებს მუშაობას დიდველის საბაგირო. ბორჯომის ხეობაში გაჩენილი ხანძრის შედეგად გამოწვეული დაკვამლიანება უკვე არ აღინიშნება, შესაბამისად ბაკურიანში ტურისტული სეზონი ჩვეულ რეჟიმში გრძელდება.**

ბორჯომის ხეობაში გაჩენილი ხანძრის ლოკალიზებაში ჩართულია ბაკურიანის მთის მართვის დეპარტამენტი. აღნიშნული სამსახური 2 ღამის განმავლობაში მძიმე ტექნიკით ტყეში გზების გაჭრის სამუშაოებში მონაწილეობდა, რათა სახანძრო-სამაშველო მანქანებს ტყის ტერიტორიაზე ცეცხლის ლოკალიზება და გადაადგილება შეძლებოდათ.

ბიზნესმენი თუ „ბულგარელი განგსტერი“?!

რა იცოდა ფინანსთა სამინისტრომ ლატარიის ახალი კომპანიის ერთ-ერთი მფლობელის შესახებ

1 სექტემბრიდან საქართველოში ლატარიას შპს „ჯი ენ ელ“ ჩაატარებს, რომლის 25%-ს ბულგარეთში რეგისტრირებული New Games ფლობს. კომპანიის ერთ-ერთი დირექტორი და მფლობელი ცნობილი ბულგარელი ბიზნესმენი ვასილ ბოჟკოვია. როგორც სააგენტო on.ge წერს, ბულგარეთში აშშ-ის ელჩის ერთ-ერთ ანგარიშში, რომელიც „ვიკილიქსით“ გავრცელდა, ბოჟკოვი განგსტერად და ფულის გამთეთრებლადაა მოხსენიებული.

„კომერსანტი“ დაინტერესდა, იცოდა თუ არა ამის შესახებ ფინანსთა სამინისტრომ და თუ არ იცოდა, რატომ არ გადაამოწმა, ტენდერში მონაწილე კომპანიების შესახებ ინფორმაცია. დიმიტრი ქუმსიშვილის უწყებაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი არ გააკეთეს, სამინისტროში „კომერსანტს“ მხოლოდ ის განუცხადეს, რომ „ტენდერი საქართველოში ლატარიის ორგანიზებასა და ჩატარებაზე უფლებამოსილი პირის გამოსავლენად საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით ჩატარდა“.

როგორც ცნობილია, საქართველოში ლატარიის ორგანიზებასა და ჩატარებაზე უფლებამოსილი პირის გამოსავლენად ტენდერი ფინანსთა სამინისტრომ ჩაატარა. ტენდერში მონაწილეობა მხოლოდ ერთმა კომპანიამ მიიღო და გამარჯვებულიც ის გახდა. შესაბამისად, 1 სექტემბრიდან საქართველოში ლატარიას შპს „ჯი ენ ელ“ ჩაატარებს.

კომპანია „ჯი ენ ელ“-ი გასული წლის 25 იანვარს დარეგისტრირდა. საჯარო რეესტრის მონაცემებით, რეგისტრაციის მომენტში კომპანიის 100%-იან წილს მისი მოქმედი დირექტორი ლევან ხუნდაძე ფლობდა. გასული წლის დეკემბრის მონაცემებით, კომპანიის მფლობელები უკვე ბულგარეთში რეგისტრირებული სააქციო საზოგადოება New Games და შპს „ვინ“ არიან, რომლებიც იმ დროისათვის 50%-50%-იან წილებს ფლობდნენ. რეესტრის 2017 წლის 20 ივლისის მონაცემებით კი, New Games-ი კომპანიის 25%-იანი წილის; ხოლო „ვინ“ 75%-იანი წილის მფლობელები არიან.

კომპანია „ვინ“-ს, რეესტრში ის 2016 წლის 30 ნოემბერს დარეგისტრირდა და მისი 100%-იანი წილის მფლობელი რუსეთის მოქალაქე კობა ღურწკაიაა. რეესტრის მონაცემებით, ღურწკაია შპს „სი ბი ეს ჯგუფის“ გენერალური დირექტორია, რომლის 50%-50%-იან წილებს ბიზნესმენები — ხვიჩა მაქაცარია და თეიმურაზ არონია ფლობენ. სამივე მათგანი ინტერნეტპროვაიდერი კომპანიის „კავკასუს ონლაინის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არიან.

რაც შეეხება New Games-ს, როგორც on.ge წერს, ის ბულგარეთის ლატარიის ეროვნული კომპანიაა. მისი ერთ-ერთი მფლობელი კი სკანდალური პიროვნება ვასილ ბოჟკოვია. როგორც on.ge წერს, ვიკილიქსის საშუალებით გავრცელდა 2005 წლით დათარიღებული დოკუმენტი, რომელშიც თავმოყრილია ინფორმაცია ბულგარეთის ორგანიზებულ დანაშაულის ფიგურების შესახებ და რომელიც ბულგარეთში აშშ-ის ელჩმა, ჯეიმს პარდიუმ შეიმუშავა. აღნიშნულ დოკუმენტში წერია, რომ 2004 წლის ბოლოს ბულგარეთში 118 ორგანიზებული დანაშაულის ჯგუფი ოპერირებდა და მათ შორის, ერთ-ერთი ფიგურა ვასილ ბოჟკოვი იყო. ანგარიშის მიხედვით, მისი არალეგალური აქტივობები ფულის გათეთრებას, პრივატიზაციასთან დაკავშირებული თაღლითობას, დაშინებას, გამოძალვასა და რეკეტირებას უკავშირდება.

დოკუმენტის თანახმად, ბოჟკოვი დაკავშირებული იყო კომპანია Intergroup-თან, რომელსაც ნარკოტიკებთან, ფინანსურ თაღლითობასთან, მოპარული მანქანებით ვაჭრობასთან, კონტრაბანდასთან, გამოძალვასა და პროსტიტუციასთან აქვს კავშირი. ვასილ ბოჟკოვი და Intergroup, თავის მხრივ, დაკავშირებული არიან ივან ტოდოროვთან, რომელიც დოკუმენტებში მოხსენიებულია როგორც ერთ-ერთი ყველაზე დიდი ნარკორეალიზატორი ბალკანეთში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს გარდა, New Games ბულგარეთშიც უზრუნველყოფს ეროვნული ლატარიის ჩატარებას. ერთ-ერთი სკანდალი, რომელიც საერთაშორისო მედიაშიც მოხვდა სწორედ ამ გათამაშებას უკავშირდება. 2009 წელს ლატარიაში ზედიზედ ორჯერ ამოვიდა ერთი და იგივე ციფრები. ლატარიის კომპანიამ აღნიშნულს გიჟური დამთხვევა უწოდა და იმ ფაქტზე მიუთითა, რომ რიცხვების ამოსვლის რიგითობა განსხვავდებოდა.

BBC-ის ცნობით, მაშინ ბულგარეთის ხელისუფლების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მანიპულაცია შეუძლებელი იყო. მათემატიკოსები კი ამბობდნენ, რომ ზედიზედ ორჯერ ზუსტად იმავე ციფრების ამოსვლის ალბათობა ოთხ მილიონში ერთი იყო, თუმცა დამთხვევებიც ხდება.

ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის გაშუქების პროექტის (OCCRP) ცნობით, ვასილ ბოჟკოვმა (მეტსახელად „თავის ქალა“ — The Skull) თავისი პირველი კომპანია 1990 წელს დაარსა. ორ პარტნიორთან, ილია პავლოვთან და მლადენთან ერთად დაფუძნებული IGM აზარტული თამაშების ჯგუფი ძალიან წარმატებული, შემოსავლიანი და გავლენიანი გახდა აღმოსავლეთ ევროპაში. 2008 წლის მონაცემებით, ბოჟკოვის იმპერია Noveholdings 30 კომპანიას აერთიანებდა. მის ჰოლდინგში შედის ისეთი კაზინოები, როგორიცაა London Casino სოფიაში მდებარე სასტუმრო რედისონში და Rila Casino, ასევე სოფიაში მდებარე სასტუმრო რილაში. ვასილ ბოჟკოვი დაახლოებით 1,5 მილიარდი დოლარის ქონებას ფლობს და ბულგარეთსა და ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ადამიანის ტიტულს ატარებს.

2004 წელს, ბოჟკოვთან პარტნიორობის გაწყვეტისა და მასთან კონკურენციის შემდეგ, ილია პავლოვი მოკლეს. ვასილ ბოჟკოვი ეჭვმიტანილად არასდროს დასახელებულა და კონკურენტის გაქრობის შემდეგ ბისი ბიზნესიც აყვავდა. ბოჟკოვი სარგებელს ძლიერი პოლიტიკური კავშირებითაც იღებდა.

ბულგარული დამოუკიდებელი მედიის 2011 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში წერია, რომ ვასილ ბოჟკოვი ნელ-ნელა სცილდება კრიმინალს, თუმცა ბიზნესმენი მოხსენიებულია როგორც ორგანიზებული დანაშაულის ფიგურა OCCRP-ის 2015 წლის პუბლიკაციაშიც. მისი ჰოლდინგის ლეგალური ბიზნესინტერესები ძირითადად აზარტულ თამაშებს და Duty Free მაღაზიებს უკავშირდება. 2005 წლის ვიკილიქსის დოკუმენტების თანახმად, ბოჟკოვი, ასევე, ფლობს ბულგარულ საფეხბურთო კლუბს და სამოდელო საგენტოს, — წერს on.ge.

ბიზნეს-სამართლის ექსპერტი აკაკი ჩარგეიშვილის განცხადებით, ლატარიის კომპანიის შესახებ თავიდანვე ბევრი კითხვა არსებობდა და ახლაც, როდესაც გამარჯვებული კომპანიის ერთ-ერთი მეწილე განგსტერად არის მოხსენიებული, ბევრ კითხვის ნიშანს გააჩენს.

„თუ ეს ადამიანი არის ორგანიზებულ დანაშაულში მონაწილე, აუცილებელია, რომ კომპანიის საქართველოში საქმიანობის მიმდინარეობისას ჩატარდეს მონიტორინგი. და ნებისმიერი დარღვევის შემთხვევაში გადაეცეს საქმე შესაბამის ორგანოებს.

თავად ის ფაქტი, რომ ხელისუფლება ლატარიის ჩამტარებელ კომპანიას, ანუ ინვესტორს დიდი ხნის განმავლობაში ეძებდა, კითხვებს აჩენს. სატენდერო პირობებიც, როგორც ვიცი, სრულყოფილი არ არის. ამიტომაც აუცილებელია, რომ კითხვებსაც გაეცეს პასუხი“, — განუცხადა „კომერსანტს“ ჩარგეიშვილმა.

„კომერსანტი“

მინდია ჯანელიძის წლიური ანაზღაურება მართლა 94,5 ათასი ლარია?!

ფლანგვის დეტექტორი სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივნის მინდია ჯანელიძის სახელფასო ანაზღაურების შესახებ ინფორმაციას ავრცელებს. მათი ინფორმაციით, ჯანელიძემ 2016 წელს ხელფასისა და დანამატის სახით 94,5 ათასი ლარი აიღო.

„სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივანი, საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ძვირად ღირებული საჯარო მოხელეა. ოფიციალური ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ მისი შენახვა სახელმწიფო ბიუჯეტს მინისტრებსა და მთავრობის მეთაურზე უფრო ძვირი უჯდება. ჯანელიძემ სახელფასო ანაზღაურების სახით უფრო მეტი თანხა გამოიმუშავა, ვიდრე ინდოეთის პრეზიდენტმა 2015 წელს“.

გურიის გუბერნატორად მერაბ ჭანუყვაძე დაინიშნა

ახალი რწმუნებული გურიის სამხარეო ადმინისტრაციისა და რეგიონის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ კახა გულედანმა წარუდგინა. მერაბ ჭანუყვაძე 2013-2014 წლებში გუბერნატორის პირველი მოადგილე გახლდათ. იგი წლების მანძილზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში, გამგებლის თანამდებობაზე მუშაობდა.

ქართველი მეწარმეები გერმანიაში

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“, გერმანიის ეკონომიკისა და ენერგეტიკის სამინისტროსთან თანამშრომლობით და GIZ-ის მხარდაჭერით გეგმავს მენეჯერთა გადამზადების პროგრამას. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მონაწილეებს საშუალება ექნებათ გაიარონ სასწავლო კურსი, ესტუმრონ გერმანულ კომპანიებს და ამავდროულად ჩანიშნონ ინდივიდუალური („B@B“) შეხვედრები ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლებთან. პროგრამის „Fit For Partnership“ ძირითადი მიზნებია:

გერმანიის ბიზნეს-მენეჯმენტის პრაქტიკის შესწავლა;

საერთაშორისო ურთიერთობების უნარების განვითარება;

საერთაშორისო ბიზნეს-ურთიერთობების უნარების განვითარება;

გერმანულ კომპანიებთან კავშირების დამყარება;

პოტენციური ბიზნეს-ურთიერთობების განვითარება.

ამასთანავე, სასწავლო კურსის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს საერთაშორისო ვაჭრობის შესაძლებლობების განვითარება მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების კონტექსტში, რომელიც თავის მხრივ, მოიცავს შეთანხმებას ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ. აღნიშნული კურსი კარგ შესაძლებლობას აძლევს ადგილობრივ მეწარმეებს, წარმოებული პროდუქტი ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე გაიტანონ ევროკავშირის 500-მილიონიან ბაზარზე.

პროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ მიიღონ მცირე და საშუალო საწარმოების საშუალო ან მაღალი დონის მენეჯერებმა, რომელთაც აქვთ მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის მინიმუმ 2-წლიანი გამოცდილება, უმაღლესი განათლება ეკონომიკური, სავაჭრო, ტექნოლოგიური, მენეჯერული ან სხვა მსგავსი სპეციალობით და კარგად ფლობენ ინგლისურ ენას. ასევე კომპანია 2-3 წლის განმავლობაში წარმოდგენილი უნდა იყოს ადგილობრივ ან/და საერთაშორისო ბაზარზე.

მინისტრი და პრანკერები: ვინ გაიცინებს ბოლოს?!

კაცის მასხრად აგდება, გაშაყირება, მოგეხსენებათ, სხვადასხვანაირად შეიძლება. ასე გამასხარავებას შესაძლოა, კეთილი ხუმრობის სახეც ჰქონდეს, რომელსაც მხიარული სიცილის გამოწვევა შეუძლია, მაგრამ ის შეიძლება თანამოსაუბრის აბუჩად აგდების ბოლმიან-გესლიანი სურვილითაც იყოს გაჟღენთილი. მართალია, აქაც რაღაც-რაღაც ნიუანსებია, თუმცა კი კაცს ყოველთვის სიფრთხილე მართებს, რათა ორჭოფულ მდგომარეობაში არ აღმოჩნდეს, როგორც ეს ბოლო დროს ერთ ჩვენს მაღალჩინოსანს მოუვიდა.

აბა, წარმოიდგინეთ, პატივცემულო მკითხველო, რა გრძნობა დაგეუფლებათ, როცა უცხო პირი დაგირეკავთ და თქვენი ახლობლის საავადმყოფოში მოხვედრის ამბავს შეგატყობინებთ. ბუნებრივია, რომ ეს ამბავი შეგზარავთ და აზრადაც არ მოგივათ თანამოსაუბრეს პიროვნებისა და მოწოდებული ინფორმაციის რეალურობის დამადასტურებელი საბუთი მოსთხოვოთ.

ცოტა ხნის წინათ მსგავსი რამ შეემთხვა საქართველოს შს მინისტრს, ბატონ გიორგი მღებრიშვილს. მინისტრს ტელეფონზე პრანკერმა „ლექსუსმა“ დაურეკა, თავი უკრაინის შს მინისტრად არსენ ავაკოვად წარუდგინა და აცნობა, რომ კიევში საქართველოს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ჩამოდის და უკრაინის მხარე მზადაა, საქართველოს გადასცესო. მერე კი დაინტერესდა – საქართველო მზად არის თუ არა ამისთვისო? პრანკერის მტკიცებით, საუბრისას მინისტრი ნერვიულობდა, ვინაიდან გლობალური მასშტაბის პოლიტიკურ სკანდალთან დაკავშირებით სტრატეგიული გადაწყვეტილება უნდა მიეღო – სააკაშვილი ქვეყანაში ჩამოეყვანათ თუ არა? ვერაფერს იტყვი, მინისტრი მართლაც რთული დილემის წინაშე დადგა!

მკითხველს კი შევახსენებთ, რომ **პრანკი** – ესაა სატელეფონო ხულიგნობა, გამასხარავება, **პრანკერები** კი ასეთი სატელეფონო ხულიგნობის ჩამდენი პირები არიან, რომლებიც თავიანთ „რჩეულებს“ ურეკავენ და დაუფარავი პროვოკაციების ან გამასხარავების გზით თავიანთ მსხვერპლებს საპასუხო რეაქციის გამოვლენაზე იწვევენ.

მოკლედ, პრანკერები ერთობ სახიფათო პროფესიის ხალხია – ასეთი ადამიანებისთვის ზოგჯერ ქუჩაში გამოჩენაც კი სარისკოა – რა იცი, ვის როგორ შეიძლება გადაუხადოს მასხრად აგდება!

ახლა კი, გვიპასუხეთ, თუ შეიძლება, პატივცემულო მკითხველო, როგორი რეაქცია უნდა ჰქონოდა მინისტრ მღებრიშვილს, რომელსაც მანამდე უკრაინელი კოლეგის ხმა მხოლოდ ერთხელ ჰქონდა მოსმენილი, როცა იგი პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოსთან გამართულ თათბირზე სააკაშვილის მეტყველებას დასცინოდა (ცნობილი „ბე-ბე-ბე“). თანაც, ისიც არა უშუალოდ, არამედ ტელევიზორში! მაშ, როგორ უნდა მოქცეულიყო იგი? ხომ ვერ მოჰკითხავდა ტელეფონით მოსაუბრეს პირადობის მოწმობას ანდა როგორმე სხვანაირად შეძლებდა მის იდენტიფიცირებას?! რა თქმა უნდა, არა, მინისტრს ამის არც დრო ჰქონდა, არც შესაძლებლობა, ამიტომაც მას პრანკერ „ლექსუსის“ ზარზე ისეთივე რეაქცია ჰქონდა, როგორიც, ალბათ, მის ადგილზე ქვეყნის მოსახლეობის უმეტეს ნაწილს ექნებოდა **(თუკი საქართველოს პარლამენტში ბოლო არჩევნების შედეგებით ვიმსჯელებთ. – ვ.ა.)**. მინისტრმა მღებრიშვილმა სააკაშვილის მისამართით რამდენიმე „ტკბილი სიტყვა“ თქვა და ბოლოს დაამატა: „ეს კაცი აქ არაფერში გვჭირდება. მისი საქმე მხოლოდ ავანტიურაა და სხვა არაფერი. უმჯობესია, უსახლკარო იყოს! დიახ, ზუსტადაც რომ ასე თქვა, პირდაპირ, ყოველგვარი დიპლომატიური მიკიბ-მოკიბვის გარეშე.

სწორადაც მოიქცა!

თუმცა, რომ იტყვიან, რამდენი კაციცაა, იმდენი აზრიცაა. მღებრიშვილს მაშინვე სისინი დაუწყეს, თანაც, ისე გესლიანად, რომ მან უმალ უარყო პრანკერებთან რაიმე კონტაქტი. მინისტრის თქმით, გასაჯაროებული აუდიოჩანაწერები მტკნარი სიცრუეა, ხელისუფლების შესუსტებაზე გათვლილი ანტიპიარი. საკუთარ სიტყვათა დასტურად შს სამინისტროს თავკაცი ამბობს, რომ ნებისმიერი სახეობის ექსპერტიზაზეა თანახმა, რომელიც აუდიოჩანაწერზე მისი ხმის ავთენტურობას (**ანდა პირიქით, ამ ავთენტურობის არარსებობას. – ვ.ა.**) დაადასტურებს.

მაგრამ მინისტრს არ უჯერებენ. მაგალითად, ექსპერტი გია ხუხაშვილი სრულად გამორიცხავს, რომ მინისტრს პრანკერებთან საუბარი არ ჰქონია. საკაშვილის საქართველოში დაბრუნებაზე მინისტრის ემოციურ უარს, რომელიც აუდიოჩანაწერზეა დაფიქსირებული, იგი სახელმწიფო საიდუმლოს უპასუხისმგებლო გათქმასა და, მაშასადამე, პროკურატურის მიერ გამოტანილი ვერდიქტის შეუსრულებლობის სურვილით ხსნის, რომელიც ექსპრეზიდენტის დაუყოვნებლივ დაკავებასა და მის თბილისში დაბრუნებას ითვალისწინებს. შს სამინისტროს ხელმძღვანელის პოზიციას იგი ნაკლებად ეფექტიანს უწოდებს და მიიჩნევს, რომ ასე მოქცევა ვნებს საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს.

მერე და მერე კი ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა: აუდიოჩანაწერთან დაკავშირებული საქმის გამოძიების მოთხოვნით საქართველოს მთავარ პროკურატურას მიხეილ სააკაშვილის ადვოკატმა ბექა ბასილიამ მიმართა, რომლის განცხადებით, მინისტრის საქციელში კანონსაწინააღმდეგო მოქმედებათა ნიშნები იკვეთება.

როგორც ვხედავთ, საქმე მართლაც სერიოზულადაა!

თუმცა კი ყველაფერი თავისი რიგით მიდის: საქართველოს პროკურატურამ მორიგი მოთხოვნა გაუგზავნა უკრაინელ კოლეგებს სააკაშვილის საქართველოსთვის გადმოცემის თაობაზე. იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი დაბეჯითებით იმეორებს, რომ ყოფილი პრეზიდენტის მიმართ ოთხი სისხლის სამართლის საქმეა აღძრული და თბილისი ნებისმიერ ქვეყანას მის გადმოცემას მოსთხოვს, სადაც კი ის გამოჩნდება.

ამასობაში, საქართველოში პარკერების „ანცობით“ გამოწვეულმა დავიდარაბამ გაგრძელება მოსკოვში პოვა. ცნობილმა და ავტორიტეტულმა რუსეთელმა ტელეწამყვანმა კოჟუხოვმა ტელეარხ „ზვეზდას“ სტუდიაში შუა ჩაწერის დროს, სკანდალურად კარის გაჯახუნებით პრანკერებს – „ვოვანსა“ და „ლექსუსს“ მახინჯები და ნაძირლები უწოდა. სხვათა შორის, მათგან ერთ-ერთი იმ დროს სტუდიაში იმყოფებოდა და კოჟუხოვის ყველა ეპითეტს საკუთარი ყურით ისმენდა.

„დიახ, პრანკერები ჩამოყალიბებული ნაძირლები არიან, მე თუ კაცი მკითხავს, არაფერი განსხვავებაა მათსა და აფერისტებს, გადამგდებებს, ჯიბის ქურდებსა და მსგავს ნაგავს შორის, რომელიც პურის ფულს მამაძაღლობით შოულობს და ისინი ციხეში უნდა ისხდნენ. გასაოცარია, რომ პოლიტიკური პროგრამის ავტორებს ეს არაკაცები რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ტელეარხის ეთერში გაჰყავთ და მათ „ექსპერტულ აზრს“ ეკითხებიან. მიმაჩნია, რომ ესაა ჩემი პროფესიის სირცხვილი, სულაც არ გამიკვირდება, რომ შემდეგ ჯერზე პროგრამის წამყვანები სატელევიზიო ეთერში ჩიკატილოს **(ცნობილი სერიული მკვლელი – რედ.)** კულინარიულ რეცეპტსაც განიხილავენ“, – წერს სოციალურ ქსელში მიხეილ კოჟუხოვი.

აი, ასეთი ვნებათაღელვაა, პატივცემულო მკითხველო, მართალია თუ არა რუსი ჟურნალისტი, ეს თავად თქვენი განსასჯელია...

ვიდრე წინამდებარე მასალაში წერტილს დავსვამდე, საკუთარ თავს ვკითხე: მე როგორღა ვუპასუხებდი პრანკერთა ჰიპოთეტურ კითხვას, რომელიც მიხეილ სააკაშვილის საქართველოში ძალით ჩამოყვანასთან იქნებოდა დაკავშირებული? პასუხი უმალ გამიჩნდა, ოღონდ პირდაპირ ვიტყვი, ორიგინალობით ნამდვილად არ გამოირჩევა. იგი სიტყვა-სიტყვით დაემთხვა შს საქმეთა თავკაცის პასუხს: „არა, ეგ კაცი ჩვენ აქ არ გვჭირდება, უმჯობესია, უსახლკარო იყოს!“ მერე კი, მინისტრივით, მეც ერთი-ორს შევუკურთხებდი, რისთვისაც მკითხველს ბოდიშს ვუხდი.

ვალიმ ანასტასიადი,
გაზეთ „ვეჩერნი გბილისის“ მთავარი რედაქტორი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

საქართველოს საგარეო ვაჭრობის მთავარი სამეული კვლავ რუსეთი, თურქეთი და ჩინეთია

ევროკავშირთან ექსპორტი 7 თვეში, გასული წლის მაჩვენებელთან შედარებით, 33.6%-ით გაიზარდა. ამას გვამცნობს საგარეო ვაჭრობის შესახებ სტატისტიკური მონაცემები, რომელიც საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა გუშინ გაავრცელა. აღნიშნულის თანახმად, 2017 წლის იანვარ-ივლისში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 5.6 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს 13.0%-ით აღემატება. აქედან ექსპორტის მოცულობა 1 მლრდ 446 მლნ აშშ დოლარია (28.9%-ით მეტი), ხოლო იმპორტის – 4 მლრდ 228 მლნ აშშ დოლარი (8.5%-ით მეტი). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2017 წლის იანვარ-ივლისში 2 მლრდ 781 მლნ აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 49.0% შეადგინა. ამავე პერიოდში ექსპორტი, რეექსპორტის გარეშე, 1 მლრდ 141 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა, რაც 27.1%-ით მეტია წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე.

როგორც ვთქვით, გაზრდილია ვაჭრობის მოცულობა ევროკავშირის ქვეყნებთან: 2017 წლის იანვარ-ივლისში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 1 მლრდ 541.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 11.0%-ით აღემატება. აქედან ექსპორტი 339.1 მლნ აშშ დოლარი იყო (33.6%-ით მეტი), ხოლო იმპორტი 1მლრდ 202 მლნ აშშ დოლარი (6.0%-ით გაიზარდა). საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ამ ქვეყნების წილმა 27.2% პროცენტი შეადგინა, მათ შორის – ექსპორტში 23.4% და იმპორტში 28.4% (2016 წლის იანვარ-ივლისში, შესაბამისად, 27.7, 22.6 და 29.1 პროცენტი). ევროკავშირის ქვეყნებზე მოდიოდა სავაჭრო დეფიციტის 31.0% (2016 წლის იანვარ-ივლისში 31.7%). რაც შეეხება მთავარ პარტნიორებს: 2017 წლის იანვარ-ივლისში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 65.8% შეადგინა. უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორებია: თურქეთი (858.7 მლნ აშშ დოლარი), რუსეთი (605.7 მლნ აშშ დოლარი) და ჩინეთი (481.4 მლნ აშშ დოლარი).

თითქმის უცვლელია პროდუქციის სახეობები, რომელებიც ვაჭრობის ძირითად საგანს წარმოადგენს: 2017 წლის იანვარ-ივლისში სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა დაიკავა: 243.7 მლნ აშშ დოლარი და მთელი ექსპორტის 16.8% შეადგინა. ფეროშენადნობების ექსპორტი 182.5 მლნ აშშ დოლარს და, შესაბამისად, მთლიანი ექსპორტის 12.6%-ს უდრიდა. მესამე ადგილს მსუბუქი ავტომობილების ჯგუფი იკავებდა. ამ სასაქონლო ჯგუფის ექსპორტმა 102.4 მლნ აშშ დოლარი და მთლიანი ექსპორტის 7.1% შეადგინა.

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფს კი 2017 წლის იანვარ-ივლისში ნავთობი და ნავთობპროდუქტები წარმოადგენდა. მისმა იმპორტმა 354.8 მლნ აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 8.4% შეადგინა. მეორე ადგილს იკავებდა მსუბუქი ავტომობილების სასაქონლო ჯგუფი 261.3 მლნ აშშ დოლარით, რაც იმპორტის 6.2% იყო. მესამე ადგილზე სამკურნალო საშუალებების სასაქონლო ჯგუფი აღირიცხა, 196.6 მლნ აშშ დოლარით (იმპორტის 4.6%).



როგორ ვხარჯავთ საბიუჯეტო თანხებს?

შედეგი, რომელიც არ დგება

დღეს საქართველოში ყველაზე საინტერესო თემად სახელმწიფო ბიუჯეტიდან სხვადასხვა პროექტის დაფინანსების საკითხი ჩამოყალიბდა.

ეს მეტად მტკივნეული თემა განსაკუთრებით აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ე.წ. მუსიკალური ფესტივალი „ჯემ ფესტი“ 1.9 მილიონით, ხოლი ვინმე თინა მახარაძის ამერიკის შეერთებულ შტატებში სამი წლით ცხოვრება 165 000 დოლარით, ანუ დაახლოებით ნახევარი მილიონი ლარით სწორედაც რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ანუ იმ ხალხის ფულიდან დაფინანსდა, რომლებიც თვიდან თვემდე 60-ლარიან სოციალურ დახმარებას ელიან.

ეს რომ კერძო სექტორიდან განხორციელებული ქველმოქმედება ყოფილიყო, ღმერთი, რჯული, ხმას ვინ ამოიღებდა, მაგრამ ამ ორი მართლაც რომ ამაზრზენი ფაქტის შემდეგ გაჩნდა მეტად საჭირბოროტო შეკითხვა: შეუძლია კი მმართველ პოლიტიკურ ძალას ისე დაკომპლექტოს სახელისუფლებო რგოლები, რომ მსგავსი შეკითხვები არ გაჩნდეს.

პირველ რიგში ვიტყვი, თუ რატომ არის თინა მახარაძის ამერიკაში ცხოვრების დაფინანსება ამაზრზენი (სიგუას საკითხი მე მგონი, ყველასთვის ნათელია)...

თქვენ წარმოიდგინეთ და აქ არც მისი პოლიტიკური შეხედულებები და არც მისი ცხოვრების წესი არაფერ შუაშია. აქ უმთავრეს მომენტს წარმოადგენს საზოგადოების უმრავლესობის დამოკიდებულება მათ მიერ დასაფინანსებელ სუბიექტთან.

კიდევ ერთხელ მინდა, ხაზი გავუსვა იმას, რომ მმართველ გუნდს არა აქვს უმთავრესი პრიორიტეტების სწორად განსაზღვრის უნარი.

ბუნებრივია, რომ შესანიშნავია მუსიკალური ფესტივალის, ან ახალგაზრდა მსახიობის სწავლის დაფინანსება, მაგრამ პირველ რიგში უნდა განისაზღვროს ის შედეგი, თუ რას ელოდება დამფინანსებელი იმ ინვესტიციისგან, რომელსაც განათლებაში თუ საერთაშორისო ღონისძიებაში ჩადებს.

ძალიან დიდი განსხვავებაა მსგავს პროექტებში კერძო სექტორსა და სახელმწიფოს მიერ ჩადებულ ინვესტიციებს შორის. ბიზნესმენს შეუძლია ფული გადაიხადოს თუნდაც იმაში, რომ მას ამა თუ იმ მხატვრის, მწერლის, ან მსახიობის ერთი ნახატი, ლექსი, ან სცენიდან ნათქვამი ფრაზა მოეწონა. შეუძლია, რადგანაც ეს მისი ფულია და თავად განკარგავს მას.

რაც შეეხება სახელმწიფოს და, მითუმეტეს, ისეთი მწირი შესაძლებლობების მქონე სახელმწიფოს, როგორიც საქართველოა, პრიორიტეტი რომელიმე კომისიის წევრის გემოვნებაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. მკვეთრად უნდა იყოს განსაზღვრული საზოგადოების ინტერესი და, რაც მთავარია, ზუსტად უნდა იყოს ჩამოყალიბებული შედეგის მოლოდინი.

შედეგი კი, ფაქტობრივად არ გვინახავს. მაგალითისთვის ვიტყვი, რომ 2012 წლის მოწვევის პარლამენტის წევრმა, საგარეჯოს მაჟორიტარმა დეპუტატმა და შემდგომში თავდაცვის მინისტრმა თინათინ ხიდაშელმა 2013 წელს 88 დღე საზღვარგარეთ ე.წ. მივლინებებში გაატარა.

შაბათ-კვირასთან ერთად, საქართველოში 17 ოფიციალური დასვენების დღეა, რაც ჯამში 121 დღე გამოდის. ამას თუ დავამატებთ პარლამენტის წევრის ზაფხულისა და ზამთრის არდადეგებს, გამოდის, რომ ქალბატონი თინა თავის სამუშაო ადგილას, ანუ პარლამენტში, ფაქტობრივად, არ ყოფილა (საგარეჯოზე აღარაფერს ვიტყვი).

ისმის ორი უმარტივესი შეკითხვა: რა შედეგი მოიტანა ქ-ონი თინას ვოიაჟებმა? და რაში იღებდა ქალბატონი თინა პარლამენტარის ხელფასს და პრივილეგიებს?

* * *

მიუხედავად **იმისა, რომ რომელიმე დამნაშავისთვის განაჩენის გამოტანაში ჩვენ არანაირ მონაწილეობას არ ვღებულობთ, პასუხისმგებლობა ყველას გვაკისრია. გვაკისრია, რადგანაც განაჩენი საქართველოს სახელმწიფოს სახელით დგება.**

სიკვდილით დასჯის გაუქმებაც სწორედ ამ უმთავრეს მორალურ პოსტულატს ემყარება და ამა თუ იმ პრივილეგიის მინიჭებაც სწორედ ამ პოსტულატზე უნდა იყოს დაფუძნებული.

არ მინდოდა დამეწერა, მაგრამ გულმა არ მომითმინა და ეს მაგალითი აუცილებლად უნდა მოვიყვანო:

ამ ორიოდე დღის წინათ, ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ სენტ-ლუისში სასწავლებლად გაემგზავრა ლანდშაფტური დიზაინის შესანიშნავი ახალგაზრდა სპეციალისტი, რომელიც მანამდე თავისი პროფილის ერთ-ერთი შესაბამისი მიმართულების დაწესებულებაში მუშაობდა (რადგანაც მისგან ნებართვა არ მიმიღია, არც იმ გოგონას სახელს და არც დაწესებულებას არ დავასახელებ).

ამ მართლაც კარგ სპეციალისტს, მიუხედავად თავისი ასაკისა, უკვე ჰქონდა განხორციელებული უამრავი პროექტი. სხვადასხვა ევროპულ ქვეყანაში (იტალია, საფრანგეთი, პოლონეთი) გავლილი ჰქონდა სხვადასხვა ტრენინგი და მისი ნამუშევრები დიდ მოწონებას იმსახურებდნენ. მისი ერთ-ერთი სასერტიფიკატო ნამუშევრით აღფრთოვანებული დარჩა ვაშინგტონის თეთრი სახლის მთავარი დიზაინერი, რომელიც იქ მასტერკლასს ატარებდა.

ამ გოგონას სხვა დამსახურებებს აღარ ჩამოვთვლი და, უბრალოდ, ვიტყვი: მიუხედავად იმისა, რომ სენტ-ლუისის უნივერსიტეტმა მისი სამი წლით სწავლა და კამპუსი სრულად დააფინანსა, საქართველოში ვერ მოიძებნა ფონდი, რომელიც ბოლომდე შეავსებდა მისი განათლებისთვის საჭირო თანხას — აბსოლუტურად ყველა სახელმწიფო დაწესებულებამ და, მათ შორის, „განათლების საერთაშორისო ცენტრმაც“ (იმ „ცენტრმა“, რომელმაც თინა მახარაძე თითქმის ნახევარი მილიონი ლარით დაფინანსა).

მე ძალიან კარგად ვიცნობ იმ გოგონას და ნამდვილად დარწმუნებული ვარ, რომ ის იქ მართლა სწავლით იქნება დაკავებული. შეისწავლის იმ ნოვაციებსა თუ მიმართულებებს, რომლებზეც აქ ხელი არ მიუწვდება და მიუხედავად გარკვეული გულისწყვეტისა, საქართველოში დაბრუნდება.

წერილში შემეძლო მომეყვანა კიდევ უამრავი მაგალითი იმის შესახებ, თუ როგორ არასწორად იხარჯება საბიუჯეტო თანხები. შემეძლო მესაუბრა დაფინანსების უქონლობის გამო, ათასობით სწავლაშეჩერებულ სტუდენტზე, უამრავ ბავშვზე, რომლებიც ოპერაციის მოლოდინში სასოებით შეჰყურებენ ვინმე კეთილი ქველმოქმედის გამოჩენას. შემეძლო ჩამომეთვალა უამრავი ოჯახი, რომლებიც ფეხსაცმელებისა და წიგნების უქონლობის გამო, შვილებს სკოლაში ვერ უშვებენ, მაგრამ არ ჩამოვთვლი. არ ჩამოვთვლი, რადგანაც მსგავსი მაგალითები თქვენც უამრავი იცით.

ბევრს აღარ გავაგრძელებ და პირდაპირ ვიტყვი: სანამ ქვეყანაში ძირფესვიანად არ შეიცვლება სახელმწიფოს სახელით გადაწყვეტილების მიმღებთა ძმაბიჭობით, ქრთამით და უსულგულობით შერჩევა, მანამდე ყოველთვის გვეყოლებიან მშიერი და განათლებას მოკლებული ბავშვები და მათ საპირწონედ გაზულუქებული, უნიჭო და თავად გაუნათლებელი ჩინოვნიკები.

ამას კი პირველ რიგში მენტალური რევოლუცია სჭირდება.

გია გაბრიჭიძე

ჩეჩნურ-რუსული დაპირისპირება: „სამხედრო ნაწილში ჩეჩნებმა რუსი ჯარისკაცები არმატურით სცემეს“

რუსეთში სამხედრო ნაწილში მასობრივი ჩხუბი მოხდა, რომლის დროსაც ჩეჩნებმა 25 რუსი სამხედრო არმატურით სცემეს. სამხედრო ნაწილი, რომელშიც როგორც ჩეჩენი, ისე რუსი სამხედროები მსახურობენ, ჩეჩნეთის დაბა ბორძოიშია განთავსებული.

სოციალურ ქსელ „Facebook“-ში რამდენიმე რუსმა მომხმარებელმა მასობრივი ჩხუბის კადრები განათავსა.

„გუშინ, სადილის დროს, ერთ-ერთმა რუსმა ჯარისკაცმა გინება დაიწყო. მორიგე ჩეჩენმა მას შენიშვნა მისცა. იმავე საღამოს 100-მდე ჩეჩენი კომბლებითა და არმატურით შეიარაღდა, ზოგიერთ მათგანს ტრავმატული იარაღიც ჰქონდა თან. ისინი ვახშმიდან რუსი სამხედროების გამოსვლას დაელოდნენ და თავს დაესხნენ. 25-ვე რუსი ჯარისკაცი სიკვდილამდეა ნაცემი. ჩვენში გავრცელებული ფრაზა "არასოდეს ვიქნებით ძმები" სრულიად შეესაბამება არა უკრაინელებს, არამედ ჩეჩნებს. პირადად მე ხალხების მსგავსი მეგობრობა 100 წელი არ მჭირდება. ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩეჩნეთის ძალოვანი სტრუქტურები, რომელიც ეროვნული ნიშნითაა ფორმირებული, 30 000 მებრძოლს ითვლის და ისინი მხოლოდ კადიროვს ემორჩილებიან. ზუსტად ვიცი, რომ მომხდარის შესახებ ინფორმაციამ შოიგუმდეც (რუსეთის თავდაცვის მინისტრი) მიაღწია, თუმცა ინციდენტს , სავარაუდოდ, მიჩქმალავენ, არ მოინდომებენ „მთავარი პატრიოტის“ — კადიროვის დარტყმის ქვეშ დაყენებას“, — წერს „Facebook“-ში მომხდარის გამო ერთ-ერთი რუსი თვითმხილველი.

განცხადება

2017 წლის 13 ოქტომბერს, 13 საათზე, ქ. მარნეულის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქალაქი მარნეული რუსთაველის ქუჩა №73) გაიმართება ქ. მარნეულში, 500 კვ ძაბვის ელექტრო გადამცემი ხაზი „მუხრანი“-ს 500 კილოვატიანი ქვესადგურ „მარნეული“-ს სალტეზე მიერთების მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- **ქ. მარნეულის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში - ქ. მარნეული, რუსთაველის ქუჩა** №73
- **შპს „გამა კონსალტინგი“-ს ოფისში – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი** №17ა. ტელ: 2 60 15 27.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირს:

- **კობა სულაქველიძე, ტელ: 555 10 10 05,** E-mail: kobasulakvelidze05@gmail.com;
- **ნიკოლოზ სოფაძე. ტელ: 597 72 88 71;** E-mail: nikasofadze@hotmail.com.

საზოგადოებას საკუთარი მოსაზრებების და შენიშვნების წარმოდგენა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღის ვადაში.

სს „ბაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა“ ადმინისტრაცია

გაიზრდება თუ არა თბილისის მოსახლეობისთვის დენის ტარიფი ან რამდენით, ამას ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია დეკემბერში გადაწყვეტს. სემეკი პროგნოზის გაკეთებისგან თავს იკავებს, თუმცა ხაზს უსვამს, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ერთ-ერთი მთავარი საკითხი ეროვნული ვალუტის კურსია. ყოველთვის, როდესაც ტარიფის გაზრდაზე მიდგება საქმე, ჩნდება კითხვა — შესაძლებელია თუ არა, რომელიმე კომპანია პოლიტიკური ზეწოლის იარაღად გამოიყენოს არამეგობრულად განწყობილმა ქვეყანამ. თეორიულად და კანონით, ეს შეუძლებელია, თუმცა მრავალი წელია, საქართველოში განხორციელებულ ინვესტიციებში იმდენი წყალქვეშა დინება შეინიშნება ხოლმე, რომ გამორიცხული, ალბათ, არაფერია. სარჩელები საქართველოს წინააღმდეგ და ტარიფის გაზრდის მოთხოვნა ზუსტად იმ დროს, როდესაც რუსეთთან პოლიტიკური ვითარება საკმაოდ იძაბება — შესაძლოა, მოვლენათა დამთხვევაც იყოს და სრულიად გააზრებული სვლაც, თუმცა ეს ის შემთხვევაა, როდესაც რაიმეს მტკიცება საკმაოდ რთულია — ამ და სხვა თემებზე ექსპერტი **დემურ გიორხელიძე** გვესაუბრება.

დემურ გიორხელიძე:

ცალკეული პროექტები კეთილდღეობას ვერ მოგვიტანს!

მთავრობა იმისთვის არის, რომ რომელიმე ქვეყნის ბიზნესის დომინირება არ მოხდეს ეკონომიკაში...

— ბატონო დემურ, თეორიულად, შეიძლება თუ არა უცხოური კომპანია გახდეს ზეწოლის იარაღი სხვა სახელმწიფოს ხელში?

— საქმე იმაშია, რომ დავის საგანი თუ საერთშორისო დავების მომწესრიგებელ ორგანიზაციაში ან საქართველოს კანონმდებლობით იხილება, ზეწოლის იარაღად ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნება გამოყენებული მარტივი მიზეზის გამო — თუ უსაფუძვლოა დავა, იგი ვერაფერს ვერ მიიღებს ვერც ქვეყნის შიგნით და ვერც ქვეყნის გარეთ.

თუ კომპანიას აქვს საფუძველი და საქართველოს კანონმდებლობით გააჩნია ხელმოსაჭიდი თავისი ინტერესების დასაცავად, მაშინ შენ ვალდებული ხარ, დააკმაყოფილო მისი მოთხოვნა, ან საერთშორისო არბიტრაჟი გააკეთებს ამას. ამიტომ უსაფუძვლო დავა უპერსპექტივოა, მითუმეტეს, კომერციული სტრუქტურისათვის.

თუ კომერციულ დავას საფუძველი არ აქვს, ვერანაირი ზეწოლა ვერ მოხდება, ეს გამორიცხულია. თუ აქვს, მაშინ ვალდებულია ქართული მხარე, ქართული კანონმდებლობის ფარგლებში დააკმაყოფილოს ის, რამაც კომპანიას ზიანი შეიძლება მიაყენოს. ამ შემთხვევაში კომპანია ქართულია, რუსულია თუ სომხური, ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს.

— ადრე ყოველთვის კრიტიკის საგანი იყო ის ფაქტი, რომ რაკი საქართველო ინვესტიციების სიმწირეს განიცდიდა, თუ სხვა მიზეზით, ქართული მხარე ხშირად თანხმდებოდა ინვესტორთან საკმაოდ კაბალური ხელშეკრულების გაფორმებას. დღეს არის შესაძლებელი ასეთი ხელშეკრულებების გადახედვა?

— ყველაფერი შესაძლებელია, მაგრამ გააჩნია, რა წერია თავდაპირველ ხელშეკრულებაში და რა ვალდებულებები აქვს ქართულ მხარეს. თუ სერიოზულ კომპენსაციებთან არის დაკავშირებული, რაც, მაგალითად, „სითი-პარკის“ შემთხვევაში იყო — იმდენად მძიმე ჯარიმებიშეიძლება იყოს, მთავარი პირობის შეცვლის შემთხვევაში, რომ ქართულ მხარეს ეს შეიძლება, ძალზე ძვირი დაუჯდეს.

თუ ქართულ მხარეს გააჩნია ხელმოსაჭიდი პირობები ხელშეკრულების შესაცვლელად, იგი ამას გააკეთებდა კიდეც, მაგრამ რამდენადაც ვიცი, საკმაოდ მძიმე პირობებია.

— ბოლო პერიოდში განსაკუთრებით ბევრი ინტერესი იკვეთება საქართველოში — ვიცით, რომ ამერიკული კომპანიაც კი შემოვიდა ანაკლიაში, არის ჩინური, რუსული, ინდური ინტერესები. ასეთ სიტუაციაში როგორი უნდა იყოს სახელმწიფო პოლიტიკა — ანუ არსებობს თუ არა რისკები ინვესტიციების შემოსვლისას და შესაძლებელია თუ არა ამ რისკების გათვალისწინება?

— საქმე იმაშია, რომ როდესაც დიდი მასშტაბის პროექტებზეა ლაპარაკი, იქ ვერასდროს ვერ ჩაჯდება ინტერესი მხოლოდ ეკონომიკურ ფარგლებში. ანაკლიის პორტის მაგალითი რომ ავიღოთ — ასეთი პროექტი ყოველთვის იქნება სტრატეგიული პარტნიორის ინტერესის სფეროში. ხელისუფლებაც ყოველთვის იგნორირებას ვერ მოახერხებს მეგობარი ქვეყნების ინტერესების, მითუმეტეს — სტრატეგიული პარტნიორებისა.

ხელისუფლებები, როგორც წესი, საკმაოდ ზომიერად მოქმედებენ, ანუ ითვალისწინებენ სტრატეგიული პარტნიორების ინტერესებს. ამიტომ, როდესაც პოლიტიკა და ეკონომიკა ერთადაა, ასეთი პროექტები ცხადია, პოლიტიკის გარეშე ვერ იქნება განხილული. თუმცა ეს შეეხება მხოლოდ დიდ პროექტებს და არავითარ შემთხვევაში მცირე, საშუალო ან შედარებით მსხვილ ბიზნესს.

— რაც შეეხება სხვადასხვა ქვეყნების ბიზნესინტერესებს, პოტენციური საფრთხე არსებობს ყოველთვის, მაგრამ იმისათვის, რომ ეს საფრთხეები ავიცილოთ, არსებობს ხელისუფლება ქვეყანაში, რომელმაც არ უნდა დაუშვას ისეთი მოცულობის ინვესტიციები, როდესაც რომელიმე ქვეყანას ექნება დომინანტური გავლენა ეკონომიკურ სიტუაციაზე — ესეც რეგულირების სფეროს განეკუთვნება და ხელისუფლების გონიერებაზეა დამოკიდებული.

— რაც შეეხება საქართველოს მთავარ პრობლემას, სოციალურ მდგომარეობას, რომლის მოწესრიგების გზას სწორედ ინვესტიციების ზრდაში ხედავენ — ახლა მაინც თუ გაჩნდება შანსი, რომ რაკი საქართველოს მიმართ ინტერესი იზრდება, ცხოვრების დონე გაუმჯობესებისკენ შეიცვალოს?

— ჯერჯერობით რა ინვესტიციებიც ხორციელდება, ეს ვერ წყვეტს სიღარიბის პრობლემას, ანუ სოციალურ ფონს ვერ შეცვლის ვერც ანაკლიის პროექტი, ვერც ცალკეული ქვეყნებიდან ინვესტიციები. იმისათვის, რომ ეს შეიცვალოს, შიდა პოლიტიკაა საჭირო, განვითარებაზე ორიენტირებული. ეს კი მრავალპარამეტრიანი პროცესია.

როდესაც ქვეყანაში ასიათასობით სტაბილური სამუშაო ადგილია საჭირო სიტუაციის შესაცვლელად, იქ ანაკლიის მშენებლობაზე დროებით დაკავებული ადამიანები ან სხვა ინვესტიციები საერთო მდგომარეობაზე გავლენას ვერ მოახდენს.

— ყველა ამბობს, რომ რაღაც არასწორად კეთდება, მაგრამ როგორ უნდა გაკეთდეს?

— არსებობს ქვეყნის განვითარების სტრატეგია, სადაც გაწერილია, როგორ უნდა გადავიდეს ეტაპობრივად ქვეყანა უახლოესი 8-10 წლის განმავლობაში ინოვაციურ რელსებზე, როგორ უნდა მოხდეს განათლების მოდერნიზაცია, რომლის გარეშე არანაირი ეკონომიკური წინსვლა ქვეყანაში არ იქნება.

ამ სტრატეგიაში ჩამოყალიბებულია როგორ უნდა განვითარდეს მცირე და საშუალო ბიზნესი, აგრარული სექტორი, როგორი მიმართულებებით უნდა მოახდინოს სახელმწიფომ სტიმულირება და არა, რომ იტყვიან, სახელმწიფოს ხარჯზე მეწარმის შექმნა; თავისუფლების რა ხარისხია საჭირო, როგორი ბიუროკრატია, რამდენად მკაცრი წესები, რატომ არ უნდა იყოს ჩინოვნიკი დომინირებული ქვეყანაში და ა.შ.

არსებობს წარმატების სტანდარტული ხერხი, რომელიც ყველა ქვეყანაში თავისებურია; კარგად ცნობილია, როგორ განვითარდნენ ქვეყნები, მაგრამ ჩვენ, და ეს არაერთხელ აღმინიშნავს, არაფერს ვაკეთებთ.

30 წლის განმავლობაში ეკონომიკური მეცნიერების მძლავრი განვითარების ფონზე დეტალურად იყო გააანალიზებული, თუ რატომ არიან ზოგიერთი ქვეყნები განვითარებული, ზოგი კი — არა. ჩვენ ისევ იმ განუვითარებელი ქვეყნების სეგმენტში ვართ იმიტომ, რომ არაფერს ვაკეთებთ, რამაც განავითარა ცალკეული ქვეყნები.

ეს ცალკეული პროექტები არასერიოზული საქმეა, რომელიც ვერ მოიტანს ქვეყნისთვის სოციალურ კეთილდღეობას.

— ვიდრე 2012 წლის არჩევნები ჩატარდებოდა, ივანიშვილმა მანამდე გააკეთებინა სპეციალისტებს სტრატეგიული განვითარების გეგმა; გამოდის, რომ ეს გეგმა გვერდზე გადადეს?

— ეს ყველაფერი 2012 წლის ბოლოსთვის, როცა კოალიციის კონტურები მოიხაზა, უკვე გვერდზე იყო გადადებული, იმიტომ, რომ პრიორიტეტი არა ქვეყნის მოდერნიზაცია, არამედ კვოტების განაწილება იყო — მთავრობაში, პარლამენტში და ა.შ. და რა შედეგიც მივიღეთ, სახეზეა.

საკმაოდ კარგი მიზნით დაიწყო ამ დოკუმენტზე მუშაობა, მაგრამ მას შემდეგ, რაც პოლიტიკური პრიორიტეტები გამოიკვეთა, ყველაფერი აირია და ეს უზარმაზარი ნაშრომი გვერდზე გადაიდო სრულიად შეგნებულად. ეს იყო იმ პოლიტიკური ლიდერების პასუხისმგებლობის ხარისხის დამსახურება, რომლებმაც გარკვეული პერიოდი ისარგებლეს ხელისუფლებაში მოსვლით და მერე სად გაქრნენ, კარგად იცით.

— ანუ შესაძლებელია, ერთ მშვენიერ დღეს ეს დოკუმენტი, ასე ვთქვათ, გააცოცხლონ?

— ვერავინ ვერ დადებს ალტერნატივას — შეიძლება, რაღაც მიმართულებები დავამატოთ, დეტალები დავაზუსტოთ, მაგრამ ფუძეს, რაც გაკეთებულია, ალტერნატივა არა აქვს. ეს არის ქვეყნის განვითარების მოდელი იმ რესურსზე დაყრდნობით რა რესურსიც გაგვაჩნია და მინდა, გითხრათ, რომ ეს არის შესანიშნავი რესურსი როგორც ადამიანური, ისე მატერიალური და ფინანსური, რომ დღეს ჩვენ ამ მდგომარეობიდან გამოვიდეთ;

მაგრამ არ არის პოლიტიკური ნება და ამბიციური პოლიტიკური ჯგუფი, რომელსაც ეს საკითხი აინტერესებს. სამწუხაროდ, ანგლოსაქსური ამბიციური მიდგომები საკუთარი ქვეყნისადმი ქართველებს არ აღმოაჩნდათ.

ესაუბრა
ლალი ზირაქიშვილი

ყავის გადამმუშავებელ საამქროს საწარმოო პროცესი შეუჩერდა

სურსათის ეროვნული სააგენტოს თბილისის საქალაქო სამსახურის სპეციალისტებმა ყავის გადამმუშავებელ საწარმო „კოფი გრუპს“ საწარმოო პროცესი შეუჩერეს.

სააგენტოს მიერ ჩატარებული ინსპექტირებისას საწარმოში 11 არაკრიტიკული და 9 კრიტიკული შეუსაბამობა გამოვლინდა, რის გამოც ბიზნესოპერატორს შეუჩერდა საწარმოო პროცესი და კანონმდებლობის შესაბამისად დაჯარიმდა.



აგრეთვე, გამოვლინდა სავარაუდო ფალსიფიცირების ნიშნები. ინსპექტირებისას საწარმოში სხვადასხვა დასახელების (როგორც ხსნადი, ასევე მარცვლები) ყავასთან ერთად აღმოჩნდა 235 კგ მოხალული ბარდა. საწარმოში ადგილზე ხდებოდა როგორც ბარდის, ასევე ყავის მარცვლების მოხალვა მისი შემდგომი დაფქვის და, სავარუდოდ, გადარევის მიზნით.

ქობულეთი-გურიის გზაზე მომხდარი ავტოავარიის შედეგად 28 ადამიანი დაშავდა

ქობულეთი-გურიის ცენტრალურ საავტომობილო გზაზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. შემთხვევის შედეგად 28 მგზავრი დაშავდა. ისინი ქობულეთში სხვადასხვა საავადმყოფოში გადაიყვანეს. ოთხი მათგანი რეანიმაციულ განყოფილებაში იმყოფება.

როგორც ირკვევა, სამ ადამიანის ოპერაცია ესაჭიროება, ისინი ქობულეთის საავადმყოფოში არიან მოთავსებული. სხვა დაშავებულებს კი დაზიანებები ზედაპირულად უმუშავდებათ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, გამოძიება სსკ-ის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესების დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია.

◎ ᲛᲐᲬᲐᲜᲬᲐᲚᲐ ᲪᲣᲒᲠᲘᲐ – ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ ᲗᲣ ᲛᲢᲔᲠᲘ?

ᲓᲐᲒᲕᲘᲑᲠᲣᲜᲔᲗ ᲠᲘᲧᲘᲡ ᲓᲐᲗᲕᲘ!

ᲗᲔᲚᲐᲕᲘ. ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲐᲓᲠᲘᲐᲜᲘ ᲓᲘᲚᲐ. ᲔᲠᲔᲙᲚᲔᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲔᲔᲖᲝᲕᲔᲔᲑᲘ ᲐᲮᲛᲘᲐᲜᲔᲑᲔᲜ. ᲡᲐᲓ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲓ ᲐᲠᲐ ᲢᲠᲝᲢᲣᲐᲠᲖᲔ ᲡᲬᲠᲐᲤᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘᲗ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲖᲣᲠᲒᲩᲐᲜᲗᲘᲐᲜᲘ ᲒᲝᲒᲝᲜᲐ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ. ᲔᲭᲕᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲘᲐ ᲓᲐ ᲓᲠᲝ ᲫᲕᲘᲠᲐᲓ ᲣᲦᲘᲠᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲜᲐᲗᲕᲒᲐᲛᲘᲐ, ᲙᲐᲪᲘ ᲑᲭᲝᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲦᲛᲔᲠᲗᲘ ᲘᲪᲘᲜᲝᲓᲐᲝ. ᲖᲔᲛᲝᲓᲐᲜ ᲩᲐᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲥᲣᲩᲘᲓᲐᲜ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲖᲔ ᲡᲐᲛᲘ ᲫᲐᲦᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ – ᲔᲠᲗᲘ ᲛᲝᲙᲚᲔᲤᲔᲮᲔᲑᲐ ᲗᲔᲗᲠᲘ ᲫᲣᲜᲐ ᲓᲐ ᲝᲠᲘ ᲛᲝᲖᲠᲓᲘᲚᲘ ᲮᲐᲚᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲫᲕᲐᲓᲘ. (თუ რატომ აღვწერ ასე დაბეჯითებით ხროვას, ეს მოგვიანებით გახდება ნათელი), ეტყობა, კარგად იციან თავისი საქმე და საკბილოს გამოსაძალად მჭიდრო წრეს არტყამენ მგზავრს. გოგონა დაბნეულიც არის და შეშინებულიც; ამგვარი მდგომარეობიდან გამოსავალს ვერც ერთ გზამკვლევში ვერ ამოიკითხავ; იქ მხოლოდ ღირსშესანიშნაობები, სიყვარული და ურთიერთგაგებაა. შეძახილით და ხელის აქნევით ვცდილობ მდგომარეობის განმუხტვას. მაგრამ ამაოდ; ძაღლები თავის საქმის პროფესიონალები არიან. სტუმარს, როგორც ეტყობა, სასუსნავი არაფერი აქვს. ამას ბოლოს ძაღლებიც ხვდებიან და ალყას ასუსტებენ. აქვე ტურისტისთვის სასურველი მიმართულებით მიმავალი ქალბატონიც ჩნდება და მის სავსე მკლავს, როგორც მაშველ რგოლს ჩაფრენილი გოგონაც, დროდადრო უკან მოხედვით, სვლას აგრძელებს. აგრძელებს კი, მაგრამ ვეჭვობ, რომ მან კიდევ ქნას პირი თელავისკენ (საქართველოსკენ!) ან თავის ნაცნობ-მეგობრებს ურჩიოს მართლაც მარგალიტივით ლამაზ, სტუმართმოყვარე ქვეყნის მონახულება. ყოველივეს გაზვიადებად ნუ მიიჩნევს მავანი! ბოლოს და ბოლოს ნებისმიერი სამოგზაურო გზასავალი უსაფრთხობით იზომება.

როგორც ქართული წესი და რიგი ითხოვს სტუმრით დავიწყე, თორემ აბა მასპინძლები ვართ შავ დღეში! ტურისტებმა მალე აუღეს ალღო ვითარებას და ნასუფრალით უმასპინძლდებიან აბეზარ ძაღლებს. ღმერთმა ნუ ქნას ამ დროს შორიახლოს აღმოჩნდე! უკვალოდ ქრება საუკუნობით დაგროვილი თანალმობა თუ თანადგომა; ახალ და შეძლებული პატრონის შეძენით აღტკინებულნი არც ღრენას მოგაკლებენ და არც კბენას. ამგვარი ღალატის მსხვერპლი, ამას წინათ თელავში მყოფი თვით კულტურის სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკიც კი გახდა! ისე მის ნაცვლად შსს-ს მაღალჩინოსანი რომ ყოფილიყო, იქნებ ეს უფრო წასდგომოდა საქმეს. და აი, რატომ.

გასული საუკუნის შუაწლებში თელავის მილიციაში ერთი კაცი მსახურობდა, რომელსაც დიდი თუ პატარა რიყის დათვად მოიხსენიებდა. მას უპატრონო ძაღლების დახოცვა (გნებავთ ლიკვიდაცია) ევალებოდა. ევალებოდა და კარგადაც ასრულებდა საქმეს. მთელი დღე დაუყვებოდა აღმართ-დაღმართებს და სადაც მაწანწალა ძაღლს გადაეყრებოდა, სასიკვდილო განაჩენის აღსრულებას წინ არაფერი ედგა.

ერთი ასეთი შემთხვევის მომსწრე მეც გავხდი. თარს ფეხზე ამდგარმა, ეზოდან ქუჩაში გაპარულმა მეზობლის გოშიამ მაინცდამაინც მილიციელისკენ გაიწია და გასროლამაც არ დააყოვნა. ხმაურზე გამოსულმა ძაღლის პატრონმა დედაბერმა წყევლა-კრულვით აავსო მილიციელი, მაგრამ კაცი აუღელვებლად აგრძელებდა თავის საქმეს; რევოლვერი გადახსნა, ლულას ჩაბერა, ცარიელი მასრა მხარზე გადაგდებულ ჩანთაში ჩააგდო, მერე ჩანთიდანვე ამოღებულ რვეულში რაღაც ჩაწერა, ალბათ „ოპერაციის“ დრო და ადგილი, და ნელი ნაბიჯით, ჩექმაზე დაკრული ნალების წკარაწკურით ქვაფენილს გაუყვა.

ვერ ვიტყვი, რომ რიყის დათვი სიყვარულით იყო გარემოსილი, მაგრამ საჭირო საქმეს რომ ერთგულად ემსახურებოდა, ამას ყველა ხვდებოდა. აკი, ამჟამად ქალაქში გამეფებული განუკითხაობით შეწუხებული ხალხი, სულ უფრო ხშირად ახსენებს თავისი საქმის კარგ მცოდნე მილიციელს. არავინ იფიქროს, რომ თელავში ცხოველთა მოძულენი მომრავლდნენ. (ან თქვენი მონა-მორჩილი მიეკუთვნებოდეს მსგავსთა რიცხვს. როგორც ნადირობის ტრფიალს, ყოველთვის მყავდა და ახლაც მყავს ძაღლი). საღამოსხანს ქალაქის ქუჩები მრავალი ყელსაბამიან-თასმიანი, დავარცხნილ-ნაბანი ძვირფასი ჯიშის მყეფარებით ივსება. მაგრამ მთავრდება სეირნობა და ქალაქს კვლავ მაწანწალა ძაღლები ეპატრონებიან. მათი მომრევი კი არავინ არის. იყო დრო, პარტიზანულად, ქალაქის დასუფთავების სამსახური ცდილობდა ამ პრობლემის მოგვარებას და წარმატებითაც (გაზაფხულ-შემოდგომის მძუნაობისას, თოფით შეიარაღებული მუშაკნი მნიშვნელოვნად ათხელებდნენ ხროვას. ერთ-ერთ ასეთ სადამსჯელო ღონისძიებას ჩემი კურცხაარიც შეეწირა. მაგრამ რას ვიზამთ, მსხვერპლის გარეშე არაფერი ხდება.) დღეს ისე ღრმად შევიჭერით ევროპაში, რომ ამგვარ რისკზე (ბრიჯიტ ბარდოს მიმდევართა შიშით!) ველარავინ წავა. არადა, როგორც სარეველასთან ბრძოლას, ამ საქმესაც მუდმივი მიყოლა სჭირდება. დღეს მთელი იმედი ფრიად ძვირად ღირებულ, ძაღლთა თავშესაფარის მოწყობაზეა გადატანილი. არჩევნები კარზეა და ბოლოს და ბოლოს ამ ფრიად გაჭიანურებულ საქმესაც დაადგება ალბათ საშველი, მაგრამ არც ეს იქნება სრული გამოსავალი. ცნობილი ფაქტია, ერთ გამოკლებულ მაწანწალა ძაღლის ადგილს სხვა იკავებს. ალბათ სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობა, მხოლოდ ადმინისტრაციულ შენობასთან ან ფეისბუქზე პროტესტს არ ნიშნავს; როცა ხედავ, რომ საქმე თვითდინებაზეა მიშვებული, თავად უნდა აიკაპიწო მკლავები. ამგვარი, როგორც იტყვიან, აქტივობის მოწმე, სულ ახლახან გავხდი.

ჩვენ ქუჩასაც, წელზე მეტია, საიდანღაც მოსული თუ მოყვანილი ძაღლი „აკონტროლებდა“. მცხოვრებნი უხვად უმასპინძლდებოდნენ ქოფაკს. ქველმოქმედება ხომ ჩვეულებრივი ადამიანური თვისებაა! თუმცა ამ გულჩვილობის მეორე მხარე ის იყო, რომ შებინდებიდან ვიდრე გათენებამდე, ამ უსახელო ძაღლის მიზეზით, თავმომწონე ნადიკვრის ქუჩა სოფლის ორღობედ იქცეოდა. იყო ყეფა და კბილების ღრჭენა,იქვე ნაგვიანევ თუ ნაადრევ მგზავრთა წყევლა-გინება. დილდილობით,განსაკუთრებით, რამდენიმე, წონასთან მებრძოლ გოგონას ჩაგრავდა ძაღლი. გოგონები ხან ტროტუარს იცვლიდნენ, ხან გადადგილების სიჩქარეს და დიდი მღელვარების შედეგად აგრძელებდნენ სავარჯიშოდ ნადიკვრისკენ სვლას. ერთხელაც, უჩვეულო, აუჩქარებელი ნაბიჯით გამოუყვნენ ქუჩას ბავშვები. ამის მიზეზი მალევე გაირკვა; როცა ძაღლი აიჯაგრა ყეფით, პასუხად ასფალტზე ქვების რაკარუკი გაისმა. გოგონები უკან დახევას არ აპირებდნენ და მართლაც საოცარი რამ მოხდა, აწკავწკავებულმა ძაღლმა ძლივს მიიტანა თავი ნაჩვევ ადგილამდე და ერთბაშად დადუმდა. როგორც მერე გაირკვა, ერთ-ერთი ქვა, უფრო კი კენჭი, საფეთქელში მოხვედროდა. მომხდარის გამო გოგონები არც არავის შეუქია და არც არავის შეურისხავს. **მართლაცდა, განა ისე გვაქვს საქმე, რომ თითოეული ძაღლის ბედი სამსჯელოდ ვაქციოთ. სამწუხარო ის არის, რომ მოკლული ძაღლის ადგილზე, მალევე, ზემოთ ნახსენები კოჭდაბალი ძუკნა გამოჩნდა, რომელსაც ეჭვგარეშეა, სულ მალე ჭრელი ხვადებიც მოაკითხავენ. ასე რომ, ბრძოლა გრძელდება და ამ საქმეში ყველამ უნდა გამოიღოს ხელი. მით უმეტეს, რომ რიყის დათვს ვერავინ დაგვიბრუნებს!**

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲐᲠᲡᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲗᲔᲚᲐᲕᲘ-ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ.

ᲒᲐᲤᲝᲠᲛᲓᲐ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲒᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲛᲝᲠᲐᲜᲓᲣᲛᲘ

23 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲩᲔᲮᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲟᲣᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲐᲢᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲡᲐ ᲓᲐ ᲩᲔᲮᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ ᲡᲐᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲐᲟᲝ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲒᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲛᲝᲠᲐᲜᲓᲣᲛᲘ ᲒᲐᲤᲝᲠᲛᲓᲐ.

დოკუმენტი „საქართველოს კინოლოგიის მომსახურების ეფექტიანობისა და ხარისხის გაუმჯობესების“ პროექტის ფარგლებში შემუშავდა და ხელი საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველმა მოადგილემ, შემოსავლების სამსახურის უფროსმა გიორგი თაბუაშვილმა და ჩეხეთის განვითარების სააგენტოს, ჩეხეთის რესპუბლიკის საბაჟოს გენერალური დირექტორატის ხელმძღვანელმა მილან პუოლიჩეკომ მოაწერეს.

„საქართველოს კინოლოგიის მომსახურების ეფექტიანობისა და ხარისხის გაუმჯობესების“ პროექტი მიზნად ისახავს საქართველოში კინოლოგიური სამსახურის ეფექტიანობის გაუმჯობესებას, რაც ხელს შეუწყობს ნარკოტიკული საშუალებებისა და თამბაქოს კანონდარღვევით შემოტანის ფაქტების გამოვლენასა და აღკვეთას. პროექტის მომდევნო ეტაპზე, სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო კონტროლის ყველა პუნქტში შესაბამისი კინოლოგიური ცენტრების ამოქმედება იგეგმება.

მემორანდუმის ხელმოწერის ცერემონიას საქართველოში ჩეხეთის რესპუბლიკის საელჩოს წარმომადგენლები, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციისა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტების ხელმძღვანელი პირები, აგრეთვე გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს (UNODC) კოორდინატორები ესწრებოდნენ. ცერემონიის დასრულების შემდეგ, სტუმრებმა შემოსავლების სამსახურის თანამედროვე ინფრასტრუქტურით აღჭურვილი კინოლოგიის ცენტრი დაათვალიერეს და საბაჟო დეპარტამენტის სპეციალურად გაწვრთნილი სამსახურებრივი ძაღლების მიერ, საეჭვო ნივთების აღმოჩენის წვრთნის პროცესს დასწრნენ.

ᲧᲐᲖᲐᲮᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚ ᲞᲝᲢᲔᲜᲪᲘᲐᲚᲡ ᲔᲪᲜᲝᲑᲘᲐᲜ

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡᲐ **და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით საქართველოს ყაზახი ჟურნალისტები ეწვივნენ.**



ყაზახეთის ერთ-ერთი ყველაზე მაღალრეიტინგული სტუდიის „მიტრაფილმის“ გადამღები ჯგუფი საქართველოს შესახებ გასართობ-შემეცნებით გადაცემას ამზადებს, რომელიც ყაზახეთის რამდენიმე სატელევიზიო არხზე გადაიცემა და მილიონობით მაყურებელი იხილავს. პრესტურის ფარგლებში ყაზახმა ჟურნალისტებმა თბილისი, მცხეთა, გორი, ბორჯომი, ქუთაისი და ბათუმი მოინახულეს. სატელევიზიო სიუჟეტში განსაკუთრებული ყურადღება საქართველოს საზღვაო კურორტებს და ქართულ კულინარიას დაეთმობა.

ყაზახეთი საქართველოსთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტურისტული ბაზარია. სტატისტიკური მონაცემებით, 2017 წლის 7თვეში ყაზახეთიდან საქართველოს 32 ათასზე მეტი საერთაშორისო მოგზაური ეწვია, ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 18.7%-ით მეტია.

„ᲤᲝᲢᲝᲓᲦᲔᲔᲑᲘ – „ᲝᲓᲔᲡᲐ-ᲑᲐᲗᲣᲛᲘ“

7-10 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ, ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲤᲝᲢᲝᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ „ᲝᲓᲔᲡᲐ-ᲑᲐᲗᲣᲛᲘ ᲤᲝᲢᲝᲓᲦᲔᲔᲑᲘ“ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ. ᲝᲗᲮᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲤᲝᲢᲝᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲝᲢᲝᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲔᲑᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ ᲔᲫᲚᲔᲕᲐᲗ 7 ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐᲡ, ᲡᲐᲛ ᲦᲐᲛᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠ ᲞᲔᲠᲤᲝᲛᲐᲜᲡ ᲓᲐᲔᲡ�წᲠᲝᲜ. ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲖᲔ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲗᲔᲛᲐᲐ „ᲓᲦᲔᲡ-ᲮᲕᲐᲚ“ ᲤᲝᲢᲝᲔᲑᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲙᲐᲜᲐᲓᲘᲓᲐᲜ, ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲓᲐᲜ, ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲓᲐᲜ, ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲓᲐᲜ, ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲓᲐᲜ, ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲓᲐᲜ, ᲑᲔᲚᲐᲠᲣᲡᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲓᲐᲜ.

„ᲝᲓᲔᲡᲐ-ᲑᲐᲗᲣᲛᲘ ᲤᲝᲢᲝᲓᲦᲔᲔᲑᲘ“ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘᲐ, ᲛᲐᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲘ 2015 ᲬᲔᲚᲡ ᲩᲐᲔᲧᲐᲠᲐ. ᲘᲒᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲐ ᲓᲐ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ – Ა�პᲠᲘᲚᲘᲨᲘ – ᲝᲓᲔᲡᲐᲨᲘ, ᲮᲝᲚᲝ ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲨᲘ - ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ.

...იბადება კითხვა – იყო კი საერთოდ რეფორმები საქართველოში სააკაშვილის დროს?

უკრაინული გამოცემა „Корреспондент“-ის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში გაანალიზებულია უკრაინის თანამედროვე მდგომარეობა, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქვეყანაში რეფორმების განხორციელების პროცესის სიძნელეებს.

„არცერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში ისე არ გაჰყვირიან რეფორმების აუცილებლობაზე (ხმის ჩაწყვეტამდეც კი!), როგორც უკრაინაში. არცერთ ქვეყანაში იმდენი პროგრამა არ დაწერილა რეფორმების განხორციელების მიზნით, რამდენიც უკრაინაში. „ღირსების რევოლუციის“ შემდეგ საზოგადოებაში „რეფორმატორულმა ქავილმა“ თავის აპოგეას მიაღწია – ყველამ ყველგან გარდაქმნები დაიწყო: ქართველ-ამერიკელებმა მილიცია პოლიციად გადააკეთეს, ინგლისელებმა საბაჟოს რეფორმა შემოგვთავაზეს, შვეიცარიელებმა – საგადასახადო სისტემის გარდაქმნა, ნატომ – ჩვენნაირი არმია უნდა მოგიმზადოთო, გერმანელებმა – ცუდი ენერგეტიკა გაქვთ და ჩვენი დახმარებით უკეთესი გექნებათო... მიხეილ სააკაშვილმა მთელი ოდესის ოლქის რეფორმირება დაიწყო – ყველაფერს ცვლიდა, რაზედაც ხელი მიუწვდებოდა.

საერთოდ, უკრაინაში 26 წელია, რეფორმები შეუჩერებლად მიმდინარეობს და საბოლოოდ ჩვენმა ქვეყანამ ამ რეფორმების წყალობით ევროპაში ცხოვრების დონით ყველაზე „საპატიო“ ბოლო ადგილი დაიკავა (რეფორმირებული მოლდოვის შემდეგ) და თითქმის აფრიკულ ქვეყნად გადაიქცა ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის განაწილებით (ორი ათასი დოლარი წელიწადში). ეს 20%-ით ნაკლებია 1991 წელთან შედარებით, როცა თავისუფლება მოვიპოვეთ და ევროპისაკენ სრული სვლა დავიწყეთ.



ყველა რეფორმის კონცენტრირებული ძალა კორუფციის წინააღმდეგ იყო მიმართული. ამისკენ მოგვიწოდებდნენ ყველა პრეზიდენტი, პრემიერები, პოლიტიკოსები, დასავლეთი, აღმოსავლეთი და, საერთოდ, მთელი მსოფლიო. თავგანწირული და მედგარი ბრძოლის შედეგებით უკრაინამ პირველი ადგილი დაიკავა ევროპაში... კორუფციის დონით და არცერთ სახელმწიფოს ჩვენი გასწრების შანსები არ დაუტოვა. გარდა ამისა, დაუსრულებელი რეფორმირების პერიოდში უკრაინამ მილიარდობით ვალი აიკიდა, რომელსაც ვერცერთი თაობა ვეღარ გაისტუმრებს...

როგორ და რატომ მოხდა ასე?

თუ „ექსპერტებს“ დავუჯერებთ, რეფორმები არასწორად მიმდინარეობდა, არ გვყავდა მცოდნე სპეციალისტები, ჰარვარდიდან და კემბრიჯიდან უნდა მოგვეწვია, ანუ ისეთები, როგორებიც თავის დროზე მიხეილ სააკაშვილმა მიიწვია საქართველოშიო. თითქოსდა ჭკუასთან ახლოსაა, მაგრამ რატომ მოხდა ისე, რომ საქართველო თავისი „რეფორმების“ წყალობით ერთ-ერთ ყველაზე ღარიბ ქვეყნად დარჩა უმუშევრობის მაღალი – 30%-იანი დონით? რატომ წავიდა საზღვარგარეთ 1, 5 მილიონი მოქალაქე? ეს ხომ მოსახლეობის თითქმის 25%-ს შეადგენს! ბოლოს და ბოლოს, რატომ გააგდეს ქვეყნიდან მიხო და მისი რაზმი? თანაც ბევრი იქ ჩააჯინეს, სადაც ადრე თვითონ სვამდნენ სხვებს... კანონზომიერად იბადება კითხვა: საერთოდ, იყო კი რეფორმები?

მოკლედ, შეიძლება თუ არა უკრაინის რეფორმირება? არსებობს კი ყველაზე სწორი თეორია ჩვენი ქვეყნის რეფორმირებისთვის? პასუხი: რეფორმირება შეიძლება, მაგრამ ამისთვის არავითარი მეცნიერულად დასაბუთებული თეორია არ არსებობს.

როცა უკრაინელებმა 1991 წლიდან მიმდინარე ყველა რეფორმებში ფიასკო განიცადეს, მათ თავიანთი ბედი უცხოელ ვარიაგ-რეფორმატორებს მიანდეს, მაგრამ აქაც იმედი გაუცრუვდათ: საიდან ეცოდინებოდა ჰარვარდის კურსდამთავრებულს ჩვენი ქვეყნის რეალობა? აბა, წადით და ვიეტნამში ან მონღოლეთში რაღაცის რეფორმა სცადეთ! თქვენი მოქმედებით მხოლოდ იქაურებს გაიცინებთ. ჩვენთანაც ასეა – ხალხს უკვე მწარედ ეცინება. დასავლელი ექსპერტების ყველა მცდელობა კრახს განიცდის. ისინი კი თავს იმართლებენ და გეუბნებიან, ვერ აღიქვამთ რეფორმებს და თქვენს სასიკეთოდ მიმართულ ჩვენს ძალისხმევასო. საუბედუროდ, ბევრი რეფორმატორი ხელმრუდეც აღმოჩნდა.

დღის წესრიგში დგება რეფორმის გატარება სოციალური ზეწოლის მეშვეობით, მაგრამ ეს უკვე რეფორმირება კი არ იქნება, არამედ სწორედ ძალადობა. როგორც რუსეთში 1917 წლის რევოლუციით ანდა ჩილეში აუგუსტო პინოჩეტის დროს, ანუ როცა მიწაში ორსამ ათასამდე მოკლულს ჩაფლავენ, რომლებიც რადიკალური გარდაქმნების პროგრამას არ ეთანხმებოდნენ.

ეს აუცილებლად მოხდება, თუ ჩვენი რეფორმატორები ვერ მიხვდებიან, რა არის საჭირო და რეალურად რისი გაკეთების შესაძლებლობა არსებობს ჩვენს ქვეყანაში პოზიტიური ცვლილებების დაჩქარებისათვის.

ანდრეი გოლოვაჩევი,
„korrespondent.net“ (უკრაინა)

საქართველოს პატრიარქის მიმართ ისეთი მკვეთრი კრიტიკული გამონათქვამი, როგორიც დავით ბერძენიშვილმა გააკეთა, ჯერ არავის გაუბედავს!

ფრანგულ რადიოსადგურ Radio France Internationale-ს („საფრანგეთის საერთაშორისო რადიოს“) ეთერში ამ რამდენიმე დღის წინათ გადაიცა საქართველოში განვითარებული მოვლენების მიმოხილვა, რომელშიც ყურადღება რამდენიმე საკითხს დაეთმო: ქართულ-აფხაზური შეიარაღებული კონფლიქტის დაწყების 25-ე წლისთავს; რუსი ტურისტების ზრდას საქართველოში; იმ რუსული კომპანიების საქმიანობას, რომლებიც „ოკუპაციის შესახებ“ კანონს არღვევენ; რელიგიურ სიტუაციას (აშშ-ის სახდეპარტამენტის მოხსენების მიხედვით) და იმ მიზეზებს, თუ რატომ აძლევენ უპირატესობას მეზობელი აზერბაიჯანის ახალგაზრდები საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ცოდნის დაუფლებას.

რადიორეპორტაჟში საუბარია აფხაზეთის კონფლიქტის დაწყების მიზეზებზე, მასში რუსეთის საჯარისო ფორმირებებისა და ჩრდილოკავკასიელი მოხალისეების მონაწილეობაზე, კონფლიქტის შედეგებზე როგორც ქართველებისთვის, ისე აფხაზებისათვის. რეპორტაჟში ხაზგასმულია, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება 2008 წელს რუსეთმა საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევით მოახდინა.

დღეს მთავარი კითხვაა – გახდება თუ არა საქართველო აფხაზებისთვის მიმზიდველი?

კორესპონდენტი ესაუბრება რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთ ლიდერს ლევან ბერძენიშვილს: **„ეს ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ წარმატებებს მიაღწევს საქართველო. ჯერჯერობით, კონფლიქტიდან 25 წლის შემდეგ, მე ვერ ვიტყვი, რომ საქართველო წინ ისე წავიდა, რომ ჩვენმა ძმებმა აფხაზებმა ინანონ – რა განვითარებული და მეგობრული საქართველო დავტოვეთო. თუ შეიქნება უკეთესი სიტუაცია რუსეთთან შედარებით არა მხოლოდ დემოკრატიის, არამედ ცხოვრების დონის მიხედვითაც, მაშინ ეს ფაქტორი აფხაზების განწყობაზე გავლენას მოახდენს“,** – ამბობს ლევან ბერძენიშვილი.

* * *

რუსეთის მხრიდან ტურისტებისა და ტვირთების მოზღვავებამ საქართველოს სამხედრო გზაზე მრავალკილომეტრიანი საავტომობილო „საცობები“ გამოიწვია. რადგანაც საქართველოსა და რუსეთის დამაკავშირებელი სხვა სატრანსპორტო კომუნიკაციები, კონფლიქტების გამო, არ ფუნქციონირებენ, ერთადერთი ავტომაგისტრალი ძალიან არის გადატვირთული – ზემო ლარსის საკონტროლო-გამშვებ პუნქტთან უსასრულო რიგია შექმნილი. საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა, მგზავრების დასახმარებლად, გზაზე საველე ჰოსპიტალი გაეხსნა, სასწრაფო დახმარების გაწევის მიზნით. ასევე მოქმედებს რუსეთის (ჩრდილო ოსეთის) ხელისუფლებაც, რომელიც ექსტრემალურ ვითარებაში მოხვედრილ ადამიანებს ჰუმანიტარულ დახმარებას უწევს. მართალია, საკონტროლო-გამშვები პუნქტი სრული დატვირთვით მუშაობს, მაგრამ მისი გამტარუნარიანობა არასაკმარისი აღმოჩნდა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ საქართველოს სამხედრო გზა კარდინალურად არასაკმარისია რუსეთთან გაფართოებული ეკონომიკური ურთიერთობების უზრუნველსაყოფად, ხელისუფლებამ სხვა კომუნიკაციები უნდა ეძებოს, მაგრამ პრობლემის სისტემური მოგვარება, გასაგები მიზეზების გამო, ჯერჯერობით ვერ ხერხდება.

* * *

გასულ კვირას შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა ყოველწლიური მოხსენება მსოფლიოს ქვეყნებში რელიგიური სიტუაციის შესახებ, მათ შორის, საქართველოშიც. დოკუმენტში აღნიშნულია: მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის კონსტიტუცია მოქალაქეების რწმენის თავისუფლებას უზრუნველყოფს და ყველა რელიგია საქართველოში თანასწორია, ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, სხვებთან შედარებით, მნიშვნელოვანი პრივილეგიებით სარგებლობს. ბოლო დროს ქართული ეკლესია ოპოზიციონერთა კრიტიკის ცენტრში მოექცა არამარტო ფინანსური პრივილეგიების, არამედ რუსეთთან კონტაქტების გამო – ქართულ ეკლესიას რუსეთუმედ მიიჩნევენ. ამასთან დაკავშირებით „რადიო ფრანსე ინტერნასიონალეს“ კორესპონდენტს ესაუბრება რესპუბლიკური პარტიის კიდევ ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი: **„მე ჯერ კიდევ 1990-იანი წლების დასაწყისში მწვავედ ვაკრიტიკებდი საქართველოს ეკლესიის მაშინდელ და დღევანდელ პატრიარქს, რომელმაც 1994 წელს რუსეთის თავდაცვის მინისტრი პავლე გრაჩოვი მონათლა. შეგახსენებთ, რომ ეს ის გრაჩოვია, რომელიც აფხაზეთში რუსების ჯარების სამხედრო მოქმედებებს ხელმძღვანელობდა საქართველოს წინააღმდეგ... გარდა ამისა, პატრიარქი ხშირად მოიხსენიებს მეგობრად ვლადიმერ პუტინს, ხოლო რუსულ ეკლესიას ქართული ეკლესიის პარტნიორად მიიჩნევს, ანუ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია სულ უფრო მეტად ხდება რუსეთის ხელისუფლების დასაყრდენი საქართველოში. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა სასულიერო მოღვაწე კრემლის აგენტია, უფრო სწორად, კრემლის გავლენის გამტარებელი აგენტები. ქართულ ეკლესიაში საკმაოდ ბევრი წესიერი ადამიანია, მაგრამ სინოდის წევრთა დიდი ნაწილი, მაღალ იერარქთა დიდი ნაწილი, კათოლიკოს-პატრიარქის მეთაურობით, პრაქტიკულად გამოდის საქართველოს დასავლური კურსის წინააღმდეგ. ქართული ეკლესია ანტიდასავლურობას ამჟღავნებს, რაც პრორუსულ ორიენტაციას ნიშნავს“,** – აცხადებს დავით ბერძენიშვილი.

სხვათა შორის, ასეთი მკვეთრი კრიტიკული გამონათქვამები პატრიარქის წინააღმდეგ, რომელიც საზოგადოებაში ურყევი ავტორიტეტით სარგებლობს, ადრე არცერთ პოლიტიკოსს არ გაუჟღერებია. როგორც ჩანს, ქართული ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული კრიტიკა იმ სკანდალის შედეგია, რომელიც უმაღლესი იერარქიის ერთ-ერთი წარმომადგენლის – მამა გიორგი მამალაძის დაპატიმრებამ გამოიწვია, პატრიარქის მოწამვლის მცდელობის ბრალდებით.

* * *

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა ბიურომ გამოაქვეყნა აზერბაიჯანელი სტუდენტების რაოდენობა, რომლებიც ცოდნა-განათლებას ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში ეუფლებიან – მათი რაოდენობა დღეს 2650-ს აღწევს. სწორედ მეზობელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ახალგაზრდა მოქალაქეებს უკავიათ პირველი ადგილი საქართველოში ცოდნის მისაღებად ჩამოსულ უცხოელებს შორის. როგორც თსუ-ს პროფესორი კახა გაბუნია ამბობს „რადიო ფრანსე ინტერნასიონალეს“ ჟურნალისტთან საუბარში, აზერბაიჯანელი ახალგაზრდების ინტერესი ქართული უმაღლესი სასწავლებლების მიმართ ობიექტური ფაქტორებით აიხსნება: **„პირველი – ამ შემთხვევაში გავლენას ახდენს ძველი ტრადიცია, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქაში ჩამოყალიბდა – თბილისის უმაღლესი სასწავლებლები რეგიონში ყველაზე პრესტიჟულად ითვლებოდნენ; მეორე – ბაქო საკმაოდ ძვირი ქალაქია ყველა თვალსაზრისით“.** გარდა ამისა, საქართველომ სამხრეთ კავკასიაში ერთადერთმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა შეთანხმებას ევროკავშირთან ასოცირების თაობაზე, შეუერთდა ბოლონიის პროცესსაც, აქედან გამომდინარე, საქართველოში ბაკალავრის წოდებამიღებულ ახალგაზრდას თავისუფლად შეუძლია სწავლის გაგრძელება ევროპის უმაღლესი სასწავლებლების მაგისტრატურაში.

„Radio France Internationale“ (საფრანგეთი)

◎ ხელოვნური ინტელექტის საფრთხე

ომი, რომელშიც ყველანი დავმარცხდებით

მე-20 საუკუნიდან მოყოლებული, მეცნიერებიც, კულტუროლოგებიც, პოლიტიკოსებიც ერთხმად გაიძახოდნენ, რომ 21-ე საუკუნე აუცილებლად ინფორმაციისა და ამ სფეროში ინოვაციური ტექნოლოგიების საყოველთაო დანერგვის საუკუნე იქნებოდა...

ჰოდა, აი, ასე ნანატრი 21-ე საუკუნის აგერ უკვე მეორე ათეული ილევა და რამდენიმე ათწლეულისწინანდელი პროგნოზები უსწრაფესად მართლდება. ამჟამად საგზაო მოძრაობის წესების დარღვევას უკვე ქალაქებისა და მთელი ქვეყნის მასშტაბითაც საგზაო პოლიციის ჩაურევლადაც ადგენენ, რობოტები თარჯიმნობენ, სახლებს ალაგებენ, ბილეთებს ყიდიან, აეროპორტებში მგზავრებს აცილებენ. ყოველ სეზონზე ახალ-ახალ გაჯეტებს — სმარტფონებს, აიფონებს, პლანშეტებსა და ა.შ. უშვებენ, რომლებსაც ერთი რომ „სამზარეულოში ტრიალი“ არ შეუძლიათ, თორემ მათ ყველა ფუნქციას ფლობენ, რომლებსაც, როგორც გამოკითხვების შედეგები მოწმობს, მომხმარებელთა 10-12 პროცენტი თუ იყენებს. ყველაფერ ამას მწერალი ფანტასტები და ფუტუროლოგები ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის პირველი ნახევრიდან წინასწარმეტყველებდნენ (მაგალითად, **მ. ზიმიანინის „ჩვენ“, ა. აზიმოვის „მე, რობოტი“, რ. შეკლის „მშვენიერება“** და სხვ.): ისინი შიშობდნენ, რომ ოდესმე დადგებოდა ადამიანის წინააღმდეგ მანქანების აჯანყების ჟამი და, როგორც ბოლო მოვლენები მოწმობს, ეს დრო აკი დაგვიდგა კიდეც.

ცოტა ხნის წინათ, დიდად სენსაციური ამბავი გახდა ცნობილი: სოციალური ძსელი „ფეისბუქის“ ხელმძღვანელობა, მას შემდეგ, რაც მანქანებმა ერთმანეთთან ურთიერთობა... ადამიანებისთვის გაუგებარ ენაზე დაიწყეს (?!), იძულებული გახდა ხელოვნური ინტელექტის სისტემა გაეთიშა.

რამდენიმე დღის წინათ „ფეისბუქის“ ინჟინრებმა შეიტყვეს, რომ **ხელოვნური ინტელექტის სისტემამ ჩატ-ბოტებს შორის ურთიერთობისთვის საკუთარი ენა შექმნა.** აქვე განვმარტავთ, რომ ჩატ-ბოტები — ესაა ინტერნეტის ქსელებში ადამიანის მოქცევის სიმიტაციოდ შექმნილი პროგრამები, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი ვირტუალური თანამოსაუბრეები არიან. **სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ამ „ჭორიკნებს“ მოსწყინდათ ერთმანეთში ინგლისურ ენაზე მიმოწერა, ვინაიდან მასში... „გასამრჯელოს“ არ იღებდნენ(?!), ამიტომაც სისტემამ საკუთარი ენა გამოიგონა (?!),** რომელიც გარკვეულად ჰგავს კიდეც ინგლისურს. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ნოუ-ჰაუ სისტემას „თანამოსაუბრეებს“ უფრო სწრაფად და ადვილად ურთიერთობის შესაძლებლობას აძლევს. ცოტა ხნის წინათ ამერიკის შეერთებული შტატების მასმედიაში ამ დიალოგების რამდენიმე ფრაგმენტი გამოქვეყნდა:

„ბობი: — მე შემიძლია მემე ყველაფერი დანარჩენი.

ელისი: — ბურთებს ნული აქვთ ჩემთვის აქვთ ჩემთვის აქვთ ჩემთვის აქვთ ჩემთვის“.

ამასთან დაკავშირებით გამოცემა **„დიჯიტელ ჯორნელი“** განმარტავს, რომ ხელოვნური ინტელექტის სისტემები „წახალისების“ პრინციპს ეყრდნობიან, ანუ მოქმედებას მხოლოდ იმ შემთხვევაში განაგრძობენ, თუკი ამას მათთვის „სიკეთე“ მოაქვს, ხოლო **მაშინ, როცა ინგლისური ენის გამოყენებისთვის წახალისება არ მიიღეს, მათ საკუთარი ენის შექმნა გადაწყვიტეს.**

შარშან შემოდგომაზე მსგავსი ამბავი ინტერნეტ-საძიებო პროგრამა „გუგლშიც“ მოხდა: **მისმა ონლაინ-თარგმნის სისტემამ თავად განაცხადა უარი წინადადებების ცალკეულ ფრაზებად და სიტყვებად დაშლაზე (რაც თარგმანის ხარისხს აუარესებდა) და ახალი ენა-შუამავალი შეიქმნა, რომელიც წინადადების ერთმანეთზე გადაბმულად, უფრო ზუსტად და სწრაფად თარგმნის შესაძლებლობას იძლეოდა.**

ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ხელოვნური ინტელექტი (ჩატ-ბოტები კი, უდავოდ, მისი წარმომადგენლები არიან, თუმცა კი ჯერჯერობით მარტივები) თანდათანობით უფრო მეტ თავისუფლებას მოიპოვებს, ხოლო მისი მოქმედებები ძნელად განსაჭვრეტი იქნება, თანაც მოქცევა რაღაცით ადამიანისას დაემსგავსება.

კიდევ ერთი არანაკლებ საკვირველი ამბავი ასევე „ფეისბუქის“ სპეციალისტებმა გაასაჯაროეს. მათ ბოტისთვის (ანუ კომპიუტერული პროგრამისთვის) მოლაპარაკებათა წარმოების, ანუ საუბრის დალაგება და დასახული მიზნების აქტიურად მიღწევის სწავლება გადაწყვიტეს. **ადამიანები კი, ვისზეც ამ პროგრამის ტესტირება ტარდებოდა, თავიდან ვერც კი მიხვდნენ, რომ... კომპიუტერს ელაპარაკებოდნენ(?!)**

მაგრამ უფრო გასაოცარი კიდევ სხვა რამაა: **პროგრამისტების დაუხმარებლად ბოტმა, დასახული მიზნის მისაღწევად... ეშმაკობის გამოყენება თავისით ისწავლა(!)** კომპიუტერულმა პროგრამამ რამდენჯერმე გამომაჟღავნა ინტერესი ისეთი რაღაცების მიმართ, რომლებიც სინამდვილეში არაფერში აინტერესებდა, შემდეგ კი თავს ისე იჭერდა, თითქოს კომპრომისზე მიდიოდა და ამის სანაცვლოდ დათმობას იმ საქმეში იღებდა, რაშიც ნამდვილად იყო დაინტერესებული...

თუ დავაკვირდებით, მივხვდებით, რომ ნატურალური გაცვლის ეპოქაში და ხშირად ახლაც, ადამიანებიც ზუსტად ასე იქცეოდნენ და ამჟამადაც იქცევიან!

დღითი დღე მეცნიერები სულ უფრო დიდ აღშფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ კომპიუტერული ხელოვნური ინტელექტი სულ უფრო მეტ საშიშროებას წარმოადგენს.

უაღრესად საგულისხმოა საქვეყნოდ ცნობილი ბიზნესმენისა და გამომგონებლის **ილონ მასკის** მიმართვა ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი ხელისუფლებისადმი ხელოვნურ ინტელექტზე კონტროლის გამკაცრების თაობაზე. მან ხელოვნურ ინტელექტს „ცივილიზაციისთვის უდიდესი საფრთხე“ უწოდა და მიაჩნია, რომ თუკი პროცესში დროულად არ ჩავერევით, მერე შეიძლება გვიანღა იყოს.

— როცა ქუჩებში მწყობრად მოარულ რობოტებს დავინახავთ, რომლებიც ადამიანებს კლავენ, მაშინ კი მივხვდებით, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ხელოვნურ ინტელექტზე კონტროლის დაწესება, მაგრამ გვიანღა იქნება, — ამბობს ილონ მასკი.

მას მხარს უბამს სახელგანთქმული ბრიტანელი ფიზიკოსი **სტივენ ჰოკინგი**, რომლის ბოლო წლების პუბლიკაციებში ეს ერთ-ერთი მთავარი თემაა:

— სრულფასოვანი ხელოვნური ინტელექტის გაჩენა შესაძლოა, ადამიანთა მოდგმის დასასრულად გადაიქცეს, — აღნიშნა მან „ბიბისისთვის“ მიცემულ ინტერვიუში. — ასეთი გონება ინიციატივას საკუთარ ხელში აიღებს და საკუთარ სრულყოფას მზარდი სისწრაფით შეუდგება. ადამიანთა შესაძლებლობები კი ნელი ევოლუციითაა შეზღუდული. ამიტომ მანქანებს სისწრაფეში კონკურენციას ჩვენ ვერ გავუწევთ და უეჭველად დავმარცხდებით!

თუ როგორი იქნება ახლო მომავალში ადამიანის გონებისა და ხელოვნური ინტელექტის „ურთიერთობა“, ამის აქედან განჭვრეტა, ცხადია, იოლი არ არის, მაგრამ უაღრესად საგულისხმოა, რომ ბოლო დროს ახალი ამბების მომწოდებლები უკვე ულტრათანამედროვე კომპიუტერული პროგრამებია, რომლებიც საკუთარ ვირტუალურ სამყაროში არსებობენ, რომელშიც ადამიანის ადგილი არ მოიძებნება...

ოთარ ტურაბელიძე

„ბათუმში „TRUMP TOWER“-ის მშენებლობა პუტინთან დაახლოებულ ყაზახ ოლიგარქს უნდა დაეფინანსებინა“

„საქართველოს ქალაქ ბათუმში სასტუმრო „Trump Tower“-ის მშენებლობა ყაზახ ოლიგარქს უნდა დაეფინანსებინა, რომელსაც პირდაპირი კავშირები აქვს რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან. შესაბამისად, პუტინს და მის სპეცსამსახურებს აქვთ ისეთი ინფორმაცია, რომლითაც მათ დონალდ ტრამპის დაშანტაჟება შეუძლიათ“, — წერს გამოცემა „The New Yorker“.

როგორც სტატიის ავტორი ადამ დევიდსონი აღნიშნავს, ერთი მილიონი დოლარის გადახდის შემდეგ დონალდ ტრამპმა ბათუმში „Trump Tower“-ის ბრენდით ასაშენებელი 47-სართულიანი სასტუმროს სახელწოდებაში მისი სახელის გამოყენების ნებართვა გასცა და ცათამბჯენის მშენებლობის პრეზენტაციაზე დასწრების მიზნით საქართველოში ვიზიტს დასთანხმდა.

„ტრამპი საქართველოს ეწვია, რაც საქართველოს იმჟამინდელი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ბიზნესზე ორიენტირებულ რეფორმატორად წარმოჩენას ისახავდა მიზნად. თუმცა ეს კამპანიის შეცდომაში შეყვანა იყო: აპირებდნენ, ბათუმში სასტუმრო „Trump Tower“ არა ტრამპს, არამედ ყაზახ ოლიგარქებს, კერძოდ, ყაზახეთის ავტოკრატიული მმართველი ნურსულთან ნაზარბაევის სიძეს, რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის ახლობელსა და თანამოაზრე თემურ ყულიბაევს დაეფინანსებინა... ტრამპი საქართველოს 2012 წლის აპრილში ესტუმრა, მაშინ, როცა ქვეყანაში სააკაშვილისთვის „პოლიტიკურად მოწყვლადი პერიოდი“ იყო: მისი ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ დიდწილად შეჩერდა, ხოლო არასამთავრობო ორგანიზაციები, მაგალითად, „Transparency International“ იუწყებოდნენ, რომ ქვეყანაში „ელიტური კორუფცია“ ფართოდ გავრცელდა. ასეთ ვითარებაში დასავლელი ინვესტორების ან ბრენდული კომპანიიების მცირე რაოდენობა თუ იქნებოდა მზად საქართველოში კაპიტალის დასაბანდებლად. პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პოპულარობას თანდათან კარგავდა და დონალდ ტრამპის კამპანია, როგორც მიიჩნეოდა, მისი რეპუტაციის გადასარჩენად იყო გამიზნული“, — წერს გამოცემა.

სტატიის ავტორის შეფასებით, „პრაქტიკულად, არც ერთი რამ, რაც სააკაშვილმა და ტრამპმა გარიგების შესახებ განაცხადეს, სიმართლეს არ შეესაბამებოდა, მათ შორის — არც ის, რომ პროექტის ბიუჯეტი 250 მილიონს შეადგენდა, ვინაიდან რეალურად, ის 110 მილიონს უტოლდებოდა“.

მისივე ინფორმაციით, დონალდ ტრამპს ფული კომპანია „Silk Road Group“-მა გადაუხადა, თავად ეს კომპანია კი „B.T.A. Bank“-მა დააფინანსა, რომელიც „გრანდიოზულ სკანდალში გაეხვა ფულის გათეთრებასთან დაკავშირებით“.

„2005 წელს რაღაც სასწაული მოხდა. სააკაშვილმა და მეზობელი ყაზახეთის პრეზიდენტმა ნაზარბაევმა განაცხადეს, რომ B.T.A. ბანკი (ყაზახეთში ყველაზე მსხვილი ბანკი) საქართველოს ასობით მილიონი დოლარის ოდენობის სესხს გამოუყოფდა, რათა ქვეყანას განვითარებაში დახმარებოდა. სესხები ბათუმში სასტუმროების მშენებლობისთვის, ქართული სატელეკომუნიკაციო ინდუსტრიის გაფართოებისა და ქართული ბანკის ზრდის ხელშეწყობისთვის უნდა ყოფილიყო გამიზნული. თუმცა ყველა სესხი „Silk Road Group“—ში წავიდა“, — წერს სტატიის ავტორი.

გამოცემის ცნობით, 2009 წელს ყაზახეთის ხელისუფლებამ B.T.A. Bank-ს თავისი კონტროლის ქვეშ აიყვანა და მისი აქტივები სამართავად სახელმწიფო საინვესტიციო ფონდს გადასცა. „ამის შემდეგ თემურ ყულიბაევი ფონდის დირექტორად დაინიშნა. მას ჰქონდა დაშვება ბანკის შიდა დოკუმენტაციასთან, ანუ, ფაქტობრივად, მისი მფლობელი გახდა“, — წერს „The New Yorker“.

შეგახსენებთ, რომ 2012 წლის აპრილში იმჟამინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დონალდ ტრამპი ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით დააჯილდოვა. მეგაპროექტი, რომელიც „Silk Road Group“—ს უნდა განეხორციელებინა, ამ დრომდე გაჩერებულია. „Silk Road Group“-ში განმარტავენ, რომ დღეს ეს მშენებლობა კომერციულად მომგებიანი არ არის.

„THE NEW YORKER“

◎ ლეგიონერი

გიორგი ჩოჩიშვილი „სლავიაში“ გადავიდა

საქართველოს 19 წლამდელთა ნაკრების მეკარე გიორგი ჩოჩიშვილი კარიერას ჩეხური ფეხბურთის გრანდ „სლავიაში“ გააგრძელებს. ნიჭიერმა ჭაბუკმა პრაღელებს ბედი 3 წლით დაუკავშირა.

გიორგი თავდაპირველად 21 წლამდელთა გუნდში იქნება და თუ სამწვრთნელო შტაბს საკუთარი თამაშით თავს მოაწონებს, პირველ გუნდშიც დაწინაურდება.

ჩოჩიშვილმა ევროპის 19 წლამდელთა ჩემპიონატზე კარგი თამაშით დაამახსოვრა თავი გულშემატკივრებს. პერსპექტიული მეკარე „საბურთალოს“ აღზრდილია და გასული სეზონი იჯარით „შევარდენში“ გაატარა.

გიორგი შოთაძე

◎ მეტოქე

ლიტველთა რჩეულნი

ევრობასკეტ 2017-ზე საქართველოს ეროვნული ნაკრების პირველი მეტოქის ლიტვის გუნდის მთავარმა მწვრთნელმა დაინიუს ადომაიტისმა საბოლოო შემადგენლობა დაასახელა:

მანტას კალნიეტისი („მილანო“), ლუკას ლეკავიჩიუსი („პანათინაიკოსი“), მარტინას გეციავიჩუსი (“სარაგოსა“), მარიუს გრიოგონისი („ალბა“), ედგარას ულანოვასი, არტურას მილაკნისი (ორივე „ჟალგირისი“), მინდაუგას კუზმინსკასი („ნიუ იორკი“), იონას მაჩიულისი („რეალი“), არტურას გუდაიტისი, ეიმანტას ბენდჟიუსი (ორივე „ლიეტუვას რიტასი“), დონატას მოტეიუნასი („შანდუნი“), იონას ვალანჩუნასი („ტორონტო“).

ევრობასკეტ 2017-ის სტარტზე საქართველოს ნაკრები ლიტვას 31 აგვისტოს დაუპირისპირდება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჩოგბურთი

აზარენკამ ამერიკას ულალატა

დიდი სლემის ორგზის ჩემპიონი ვიქტორია აზარენკა ამერიკის ღია პირველობას გამოტოვებს. აღნიშნულ ინფორმაციას თავად ბელარუსი ჩოგბურთელი ავრცელებს.

„ძალიან ვწუხვარ, რომ ჩემი საყვარელი ტურნირის გამოტოვება მიწევს. ამერიკის ღია პირველობასთან საუკეთესო მოგონებები მაკავშირებს. სამწუხაროდ, ოჯახური მიზეზით ამ ტურნირის გამოტოვება მომიწევს. გაისად აუცილებლად დავბრუნდები“, — განაცხადა აზარენკამ.

ვიქტორია ამერიკის ღია პირველობის ფინალში 2012 და 2013 წლებში გავიდა, თუმცა, ორივეჯერ სერენა უილიამსთან წააგო.

მანუჩარ გიორგაძე

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

ახლოა გერმანიამდე...

გუშინ 18-წლამდელ მორაგბეთა 7-კაცა ნაკრები 10-დღიან შეკრებაზე სამხრეთ აფრიკაში გაემგზავრა. შეკრების მიზანი 18-წლამდელთა 7-კაცას ევროპის ჩემპიონატისთვის მომზადებაა, რომელსაც 9-10 სექტემბერს ჰაიდელბერგი (გერმანია) უმასპინძლებს.

18-წლამდელთა 7-კაცას ევროპის ჩემპიონატზე ჩვენი გუნდი პირველად მონაწილეობს. 16-გუნდა ტურნირის ჯგუფურ ეტაპზე საქართველოს მეტოქეები ევროპის მოქმედი ჩემპიონი ირლანდია, მასპინძელი გერმანია და ლუქსემბურგის ნაკრებები იქნებიან. პირველი დღის მიზანი ჯგუფური ეტაპიდან თასის მეოთხედფინალში გასვლაა, ხოლო სატურნირო გეგმა ხუთეულში შესვლაა.

სამხრეთ აფრიკაში ჩვენი გუნდი წელს მეორე შეკრებას გაივლის. გაზაფხულზე „ვესტერნ პროვინსის“ აკადემიაში 10-დღიანი შეკრება 7-კაცას პირველმა გუნდმა გაიარა და როგორც მწვრთნელები, ასევე მოთამაშეები შინ კმაყოფილები დაბრუნდნენ. ახლა მათ გზას ახალგაზრდები გაივლიან.

აღნიშნულთან დაკავშირებით „შევარდენის“ სანაკრებო ბაზის საპრესკონფერენციო დარბაზში საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გოჩა სვანიძემ, საქართველოს რაგბის აკადემიის დირექტორმა ზაზა ლეჟავამ, 7-კაცას დირექტორმა კახა ალანიამ და 18-წლამდელთა 7-კაცას მთავარმა მწვრთნელმა ლევან ობოლაძემ პრესკონფერენცია გამართეს:

გოჩა სვანიძე: „ძალიან დიდი საქმე დავიწყეთ. აქამდე ასაკობრივი 7-კაცას ნაკრები არ გვყავდა, მაგრამ შარშან ზაზა ლეჟავა მისი შექმნის ინიციატივით გამოვიდა და წელს ჩვენი გუნდი პირველად ითამაშებს ევროპის ჩემპიონატზე. ესაა მომავლის გუნდის საფუძველი, რომელიც ზაფხულის ოლიმპიადაზე ითამაშებს და საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ამ მიზნის განსახორციელებლად გარკვეული თანხა გამოყო, რომელიც სექტემბრიდან ჩაგვერიცხება. საქმის გადადება არ ივარგებდა და წინმსწრებად გამოვნახეთ თანხები, რათა გუნდი სამხრეთ აფრიკაში გაგვეგზავნა და ევროპის ჩემპიონატისთვის მომზადებულიყო. 18-წლამდელთა 7-კაცას ლევან ობოლაძე უხელმძღვანელებს, რომელმაც დაამტკიცა, რომ ძლიერი სპეციალისტია“.

ზაზა ლეჟავა: „ხანგრძლივი განვითარების გეგმის თანახმად საქართველო მსოფლიოს მოწინავეთა ათეულში უნდა შევიდეს და ამ გეგმის ერთ-ერთი ნაწილი 18-წლამდელთა 7-კაცა ნაკრებია. მნიშვნელოვანია, რომ განვითარების ქვედა საფეხურზე მაღალი დონის სპეციალისტები მუშაობდნენ, რომლებიც მორაგბეებს უნარების დახვეწაში დაეხმარებიან, ხოლო ბიჭებს მრავლად ჰქონდეთ ძლიერ მეტოქეებთან თამაშის გამოცდილება. სწორედ ამ გზით შევძლებთ წინ წაწევას და სასურველი მიზნის მიღწევას. 7-კაცა რაგბი ხაზის მოთამაშეების განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია და მოთამაშეები ადრეული ასაკიდან მიეჩვევიან სწრაფი და სწორი გადაწყვეტილებების მიღებას“.

კახა ალანია: „წელს აფრიკაში მეორედ მივდივართ. გაზაფხულზე იქ შეკრება 7-კაცას პირველმა ნაკრებმა გაიარა და ყველა კმაყოფილი დარჩა. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ ეს გზა ახალგაზრდებსაც გაევლოთ. 5 მოთამაშე, რომელიც სამხრეთ აფრიკაში მიდის, 20-წლამდელთა ნაკრებში ავა, ხოლო დანარჩენები გაისადაც ამ გუნდის წევრები იქნებიან. სამხრეთ აფრიკაში 8-10 მაღალი დონის სპეციალისტთან ვიმუშავებთ, გვექნება თამაშები, ხოლო წამოსვლის წინ კოლეჯების ჩემპიონატში მივიღებთ მონაწილეობას. აქედანვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ გამოცდილებით ეს თაობა წინამორბედებზე წინ იქნება.

სამხრეთ აფრიკაში ადგილობრივ სპეციალისტებს შეკვეთას ჩვენი მწვრთნელები მისცემენ და ვარჯიშები ერთობლივად ჩატარდება. ვიმუშავებთ სწრაფი გადაწყვეტილებების მიღებაზე. გუნდს ბესიკ ხამაშურიძეც მიყვება და დუბაის ტურნირზე 18-წლამდელთა 3 ბიჭი უფროსი ასაკის 7-კაცას ნაკრებში დაწინაურდება“.

„7-კაცას თავისი სპეციფიკა აქვს და ბევრს ვიმუშავებთ აღდგენაზე, ასევე მიწაზე თამაშზე. ბოლოს გვექნება 2-დღიანი ტურნირი და მაღალ ტემპში თამაშს მივეჩვევით, რაც გერმანიაში გამოგვადგება“ — დაამატა **ზაზა ლეჟავამ**.

ლევან ობოლაძე: „მინდა ხელმძღვანელობას მადლობა გადავუხადო იმ ნდობისთვის, რომელიც ჩემს მიმართ გამოიჩინა. ევროპის ჩემპიონატისთვის მზადება მაისში დავიწყეთ. შეირჩა 50 მოთამაშე, ასპინძაში გვქონდა მინი-ტურნირი და 23 მორაგბე გამოვარჩიეთ, რომელთაც „შევარდენზე“ 2-კვირიანი შეკრება ჰქონდათ. მათგან სამხრეთ აფრიკაში 16 მიგვყავს, ხოლო ევროპის ჩემპიონატისთვის ამ 16-იდან 12-ს შევარჩევთ.

ევროპის ჩემპიონატზე პირველად გვიწევს თამაში და ვეცდებით მაქსიმალურად მაღალი შედეგი ვაჩვენოთ. ბიჭებს შესაძლებლობა ექნებათ, წელსვე ექვსი ერის გუნდებთან რამდენჯერმე ითამაშონ და ეს ძალიან დიდი გამოცდილებაა. გერმანიაში პირველი შეხვედრა ევროპის მოქმედ ჩემპიონ ირლანდიასთან გვაქვს, თუმცა, წელს საქართველოს განსაკუთრებით კარგად მოაზროვნე თაობა ჰყავს და დასახული მიზნის მიღწევა სავსებით რეალურია“.

სამხრეთ აფრიკაში მიემგზავრებიან: გიორგი მიქანაძე (არმია), ოთარ ძაგნიძე (აია), რატი ჟორჟოლიანი (ლელო სარასენს), ბექა ყორიაული (ლელო სარასენს), გიგი ლეშკაშელი (ბაგრატი), ლაშა ლომიძე (აია), ირაკლი სიმსივე (აია), მიხეილ ალანია (ჩოხოსნები), გიორგი მარგალიტაძე (ლელო სარასენს), დავით გობეჯიშვილი (აია), თედო აბჟანდაძე (აია), დემურ თაფლაძე (ლელო სარასენს), თეიმურაზ ჭიჭინაძე (ჩოხოსნები), ლევან ნარიმანიძე (ხარები), კონსტანტინე მარჯანიშვილი (ჩოხოსნები), ავთანდილ ბართლომე კალაძე (ჩოხოსნები).

კობა კობახიძე

◎ ინტერნეტიდან

რა მისი საქმეა?!..

თვით ეშმაკსაც რომ მიავიწყდეს, ჩვენ აბა რა დაგვავიწყებს დიად ლარისა რიკელმეს, რომელმაც ჯერ პარაგვაი დაიპყრო და იქაურ ხვადებს აუჩქროლა გული, შემდეგ კი მთელი ჩვენი პლანეტა მოიცვა და დღეს ფეხბურთის ფანებს პარაგვაის ხსენებაზე სწორედ ეს ქალი ახსენდებათ და არა, ვთქვათ, ახმახი ხოსე ლუის ჩილავერტი.

ლარისასგან ინფორმაცია მოვიდა, რომ კარგად არის, საქმეებიც კარგად მისდის, უკვე ორი წელი იქნება, რაც მოდელობას მსახიობობაც შეუთავსა და ჩვენს ტელევიზიებს ვენესუელური „საპნის ოპერები“ თურქულ სერიალებზე რომ არ გაეცვალათ, დღეს შეიძლება ამ ქალის პოპულარობა ივერთა მიწაზეც გვარიანად გაზრდილიყო.

ისე კი, ზოგადად ვენესუელაში ძალზედ მძიმე სოციალური ვითარებაა, მემარცხენე პოლიტიკური მმართველი ძალა თავს ვერ ართმევს ეკონომიკურ პრობლემებს და უკვე თვეებია, ხალხი პროტესტის ნიშნად ქუჩაშია გამოსული. ლარისას რა უჭირს, თვეში შვიდჯერ ხან ევროპაშია და ხან ამერიკის პლაჟებზე ნებივრობს. პოლიტიკა აბა რა მაგის საქმეა?...

როსტომ რაჭველიშვილი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მესამე აუქციონს როლანდ ბორჩაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** როლანდ ბორჩაშვილი (პ/ნ 08001010149), ახმეტა, სოფელი ჯოყოლო.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

ახმეტა, სოფელი ჯოყოლო (საკადასტრო კოდი: 50.07.32.042).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 2000 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 24 აგვისტო, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 11 სექტემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP46490817;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 464908

6. **მოვალე:** ზურაბ ბადაკაშვილი (პ/ნ 08201040441), ახმეტა, სოფელი დუისი;
პაატა გუმაშვილი (პ/ნ 08001010234), ახმეტა, სოფელი ჯოყოლო;
ნურდი გაურგაშვილი (პ/ნ 08001022964), ახმეტა, სოფელი დუისი, მე-5 მე-13 შესახვევი №2.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**

აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.

აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP46490817; ლოტის ნომერი: 464908).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 11 სექტემბრის, 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს დავით დათაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** დავით დათაშვილი (პ/ნ 01002013098), თბილისი, ღრმაღელის I შესახვევი №47.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

თბილისი, გვაზაურის ქუჩა, კორპუსი 2, ბინა №2 (საკადასტრო კოდი: 01.12.09.030.003.01.002).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 33860.92 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 24 აგვისტო, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 11 სექტემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP46492117;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 464921

6. **მოვალე:** დავით დათაშვილი (პ/ნ 01002013098), თბილისი, ღრმაღელის I შესახვევი №47.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**

აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.

აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP46492117; ლოტის ნომერი: 464921).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 11 სექტემბრის, 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ნუგზარ იაკობიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნუგზარ იაკობიძე (პ/ნ 54001005934), ჭიათურა, ს. ითხვისი.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

ქუთაისი, სულხან-საბას გამზ. №45 (ყოფ. მშენებლის ქ.), ბინა №88 (საკადასტრო კოდი: 03.05.01.104.01.088).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 7193.51 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 24 აგვისტო, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 11 სექტემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP46492017;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 464920

6. **მოვალე:** ვალერიანე ჯანელიძე (პ/ნ 53001009494), წყალტუბოს რ-ნი, ვარციხეჯესის დასახლება.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**

აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.

აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP46492017; ლოტის ნომერი: 464920).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 11 სექტემბრის, 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

განცხადება

2017 წლის 13 ოქტომბერს 13:00 საათზე, დაბა ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში მის: დაბა ადიგენი, თამარ მეფის ქ.№5 გაიმართება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-124) ადიგენი-უდე-არალის საავტომობილო გზის მე-17 კმ-ზე მდ. ოცხეზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია დაგეგმილ სამუშაოთა ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

● **საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ–გვერდზე:** www.georoad.ge

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქალბატონ ლუიზა ბუბაშვილს ტელ: 595 219141 ელ.ფოსტა: likabubashvili@yahoo.com

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

შეჯახება თბილისის ზღვასთან – ერთი გარდაცვლილი

თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე „ჰონდასა“ და „მერსედესის“ მარკის ავტომობილები ერთმანეთს შეეჯახა. გარდაცვლილია „ჰონდას“ მძღოლი. ქალბატონი საავადმყოფოში გადაყვანისას გარდაიცვალა. მომხდარ ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

შავიზღვისპირეთში სტიქია – ძლიერი წვიმის შედეგად საცხოვრებელი სახლები დაიტბორა

შეკვეთილში, ურეკსა და გრიგოლეთში გუშინ ძლიერი წვიმა და ქარი იყო. საზოგადოებრივი მაუწყებლის ინფორმაციით, წვიმამ საცხოვრებელი სახლების ნაწილში შეაღწია. გუშინ შეკვეთილის გარდა ძლიერი წვიმა იყო ბათუმსა და ქობულეთში.

„სემირამიდას ბაღების“ კომპლექსი სექტემბერში გაიხსნება

ბათუმში, „სემირამიდას ბაღების“ კომპლექსი, სავარაუდოდ, სექტემბერში გაიხსნება. როგორც ცნობილია, პროექტი 2010 წელს დაიწყო და ის ბოლო ინფორმაციით, მიმდინარე წლის 31 აგვისტომდე უნდა გახსნილიყო. 2015 წლის მარტში პროექტის მშენებელ კომპანია „მაფაში“ „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებდნენ, რომ ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო, რომელიც აზერბაიჯანული ინვესტიციით შენდებოდა, საშუალო და მაღალ სეგმენტზე იქნებოდა გათვლილი. პროექტის დამკვეთი კომპანია „გლორიაა“.

„კომერსანტი“ დაინტერესდა, როდის გაიხსნება ბათუმში „სემირამიდას ბაღების“ კომპლექსი, როდის მიიღებს პირველ ტურისტს და რომელი ბრენდი დაიწყებს სასტუმროში ოპერირებას?

კომპანია „მაფაში“ აცხადებენ, რომ მათ უკვე დაასრულეს სამშენებლო სამუშაოები და სასტუმროს მოპირკეთებას უკვე სხვა კომპანია ახორციელებს. მათივე ინფორმაციით, სასტუმროს კომპლექსის ექსპლუატაციაში მიღების ვადად აგვისტოს ბოლოა განსაზღვრული. სხვა დამატებით დეტალებს კომპანია „მაფაში“ არ ფლობენ.

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში განმარტავენ, რომ პროექტის განმახორციელებელ აზერბაიჯანულ კომპანიას აქვს ვალდებულება, რომ 2017 წლის 31 აგვისტომდე დასრულოს მშენებლობა. სამინისტროში აცხადებენ, რომ დღემდე კომპანიას ვადის გახანგრძლივებაზე განაცხადი არ შემოუტანია, შესაბამისად, „გლორიასგან“ აქვთ ინფორმაცია, რომ ისინი ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში დაასრულებენ მშენებლობას.

სამინისტროში აზერბაიჯანულ კომპანიაზე დაყრდნობით აცხადებენ, რომ სასტუმრო „სემირამიდას ბაღები“ ტურისტების მიღებას, სავარაუდოდ, სექტემბრიდან შეძლებს. ამ ეტაპზე უცნობია, რა ბრენდით დაიწყებს სასტუმრო ოპერირებას.

პროექტის განმახორციელებელ აზერბაიჯანულ კომპანია „გლორიას“ საქართველოში იურიდიულ მომსახურებას კომპანია BLB უწევს. მისი დირექტორი კახაბერ შარაბიძე 2017 წლის მარტში „კომერსანტთან“ საუბრისას განმარტავდა, რომ მშენებლობა დათქმულ ვადებში დასრულდებოდა.

„სასტუმროს მშენებლობა 31 აგვისტომდე დასრულდება და ოპერირებისთვის მზად იქნება. თუმცა, მიმდინარე სეზონის ბოლოსთვის ტურისტებს მიიღებს თუ არა, ამას მენეჯმენტი გადაწყვეტს – აცხადებს შარაბიძე. მისი განცხადებით, სასტუმრო ხუთვარსკვლავიანია და ის საშუალო და მაღალ სეგმენტზე იქნება გათვლილი“ – აცხადებდა შარაბიძე.

შეგახსენებთ, 2015 წლის მარტში მშენებელ კომპანია „მაფაში“ აცხადებდნენ, რომ ზღვისპირა ქალაქის ახალ ბულვარში „სემირამიდას ბაღების“ კომპლექსის ასაშენებლად დაახლოებით 35 მილიონი დოლარი დაიხარჯებოდა.

სოფო ქსოვრელი

„მწევარი“ გეპარდები

ნადირობა ადამიანის უძველესი საქმიანობა და საკვების წყაროა, ამიტომაც ამ ასპარეზზე მან დიდ წარმატებებს მიაღწია. მაგალითად, აფრიკელი ბუშმენები... გეპარდებით ნადირობენ!

ეს ულამაზესი ცხოველები ბუშმენებს ნადავლის მიგნებაში ეხმარებიან, გასამრჯელოდ კი მოკლული ცხოველის ხორცის ნაწილს იღებენ. მონადირეები ცდილობენ, მსხვერპლს რაც შეიძლება ახლოს მიუახლოვდნენ, რადგან მათი შხამით გაჟღენთილი წვეტიანი ისრები შორ მანძილზე ვერ აღწევენ, ვინაიდან ბუშმენებს პატარა მშვილდები აქვთ.

მეტად უჩვეულო დამხმარეები ბუშმენებს... ბრაკონიერების წყალობით გაუჩნდათ: დაობლებული ლეკვები ადამიანებმა გაზარდეს, ისინი მათ შეეჩვივნენ, თუმცა კი, ამის მიუხედავად, მაინც ველურ ცხოველებად დარჩნენ.

ტრამპის ფორმის ნარკოტიკი

გერმანიაში, ქალაქ ოსნაბურკში პოლიციამ ექსტაზის დიდი პარტიის კონფისკაცია მოახდინა. ტაბლეტები არც მეტი, არც ნაკლები, აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის თავის ქალის ფორმისაა.

39 ათასი ევროს ღირებულების ნარკოტიკი, 51 წლის ავსტრიელი მამაკაცის ფურგონში იქნა აღმოჩენილი. იგი თავის 17 წლის ვაჟთან ერთად გერმანიაში, ჰოლანდიიდან ნარკოტიკების შესაძენად ჩამოვიდა.

ეს პირველი შემთხვევა არ გახლავთ, როდესაც ნარკოტიკულ აბს დონალდ ტრამპის თავის ფორმა აქვს. ასეთი ტაბლეტები ინტერნეტით იყიდება სლოგანით „ტრამპი საღამოს წვეულებებს განუმეორებელს ხდის“.

ალბათ, პრეზიდენტის ფორმის ნარკოტიკი რომ გკლავს და განადგურებს, სულ სხვა „სიამოვნებაა“.

დედამიწის ყველაზე უწყლო ადგილი წალკოტად იქცა

ჩილეში მდებარეობს უდაბნო ატაკამა, რომელიც მსოფლიოში ყველაზე მშრალ და უწყლო მიწად ითვლება. თუმცა დღეს აქაურები ულამაზესი სანახაობის მომსწრენი არიან.

ხანგრძლივმა წვიმებმა, რომელიც ატაკამაში იშვიათი მოვლენაა, ეს ადგილი ნამდვილ წალკოტად აქცია. ახლა იქ 200-მდე სხვადასხვა ყვავილი და მცენარე ხარობს.

ადგილობრივი ხელისუფლება აცხადებს, რომ ამ მოვლენამ ტურისტების რაოდენობა საგრძნობლად გაზარდა. ატაკამა აგრეთვე ცნობილია ლამაზი მთებით, საოცარი განთიადითა და დაისით.

ეს პირველი ანომალიური შემთხვევა არ გახლავთ უდაბნოში, 2010 წლის 19 მაისს ამ გვალვიან ადგილას თოვლი მოვიდა.

გოჭი თუ მაიმუნი?..

კუბაში, პროვინცია პინარ-დელ-რიოში, ერთ-ერთი ფერმერის ოჯახში უცნაური გოჭი დაიბადა.? განსხვავებულ გოჭუნას ერთი თვალი და ყავისფერი ჯაგარი აქვს და ძალიან ჰგავს მაიმუნს.

შინაური ცხოველი ისეთი პოპულარული გახდა, რომ მის სანახავად სხვადასხვა სოფლიდან ჩამოდიან. გოჭ-მაიმუნის დანარჩენი და-ძმანი ჩვეულებრივ გოჭებს გვანან.

ვეტერინარების თქმით, იგი გენეტიკური მუტაციის მსხვერპლია.

ეს მუტაციის პირველი შემთხვევა არ გახლავთ, ადრე ჩინეთში დაიბადა გოჭი, რომელსაც სპილოს ხორთუმი ჰქონდა.

„JOHNSON&JOHNSON“ 417-მილიონიან კომპენსაციას გადაიხდის?!

კალიფორნიაში მცხოვრებმა ქალბატონმა ევა უჩევერიამ ცნობილ ფირმას „ჯონსონი და ჯონსონი“ სასამართლოში უჩივლა და და 417 მილიონი დოლარი მოუგო. ქალი ირწმუნება, რომ საკვერცხეების სიმსივნე მათმა უხარისხო პროდუქციამ დამართა.

Johnson & Johnson
FAMILY OF CONSUMER COMPANIES

ამერიკელი ქალბატონი 56 წლის განმავლობაში მოიხმარდა ამ ფირმის საბავშვო პუდრას (1950-2017 წლების განმავლობაში). 2007 წელს ქალს სიმსივნე აღმოუჩინეს, რომლის გაჩენასაც ეჩევერია ამ ნაწარმს აბრალებს.

ადვოკატის თქმით, მის კლიენტს სურს სხვა ქალბატონებიც დაიცვას ამ დაავადებისგან.

„ჯონსონი და ჯონსონი“ აპირებს გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება. ფირმის არსებობის ისტორიაში მსგავსი სახის კომპენსაცია ჯერ არავის მიუღია.

მოამზადა
რუსუდან ქოგულიამ

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.3913; ევრო - 2.8107;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0666;
100 რუბლი - 4.0489; თურქული ლირა - 0.6835;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4079;
1000 სომხური დრამი - 4.9944.

ამინდი 24 აგვისტოსთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +17 დღე +38
მთიანი რაიონები - ღამე +10, დღე +32
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +17, დღე +31
მთიანი რაიონები - ღამე +12, დღე +31
თბილისი: ღამე +21, დღე +36

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge